ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლევან გაჩეჩილაძე — მეჩანგლე ბაქრაძე ძალიან მეცოდება

გვ.2



პარასკევი, 4 მარტი, 2011 №53 (5434) ფასი: 30 თეთრი

# დეპუტატი არჩილ გეგენავა კვების პროდუქტების მონოპოლისტია!



გვ.5

იგი წურბელასავით აზის ყველა ოჯახს



## ალეკო ხეთაგურმა ოჯახის წევრები რუსულ კომპანიაში დაასაქმა



რატომ ასაიდუმლოებს ხელისუფლება აზერბაიჯანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას

გვ.3

## რევოლუცია ხელისუფლებას აწყობს

გვ.6





## ალასანია შსს-ს გაკონტროლებას ითხოვს

თავისუფალ დემოკრატებს პოლიციის გაზრდილი უფლებები აწუხებთ

გვ.4



გვ.2

## ვინ მიუჯდება ბაქრაძესთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდას

## „ვალუტჩიკები“ მოსახლეობას ველარ მოატყუებენ

გვ.6



## ლეიბორისტები წყლის დავალიანების ჩამოწერას ითხოვენ

გვ.6

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** ბურებს საქართველოში ჩამოსვლა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვთ

**4** არასამთავრობოები თბილისის საკრებულოს დეპუტატების მიერ პრემიების ალებას აპროტესტებენ

**8** ქართველი მეცნიერები ქუვეითის გათხრების პროექტს წარადგენენ

**9** იმერული დერბი „ზესტაფონმა“ მოიგო

# ვინ მიუჯდება ბაქრაძესთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდას

ნანა მიშელაშვილი

**პოლიტიკური კალენდრის მიხედვით, გაზაფხული და შემოდგომა საქართველოში საპროტესტო აქციების დაწყების სეზონია. გამონაკლისი არც ეს გაზაფხული იქნება, მით უფრო, რომ ზოგიერთი რუსთაველზე გამოსვლასა და საპროტესტო აქციების დაწყებას უკვე აანონსებს.**



გამორიცხული არ არის, რომ ოპოზიციამ საპროტესტო აქციები სოციალური მოთხოვნებით დაიწყოს და პოლიტიკურში გადაიზარდოს. საქართველოში სოციალური პრობლემების გამო მოსახლეობა ქუჩაში თითქმის არასდროს გამოსულა. ყველა საპროტესტო აქცია ან არჩევნების გაყალბებას უკავშირდება, ან ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით იმართება.

ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ საქართველოში გაზაფხულზე საპროტესტო აქციები სწორედ მოუგვარებელი სოციალური პრობლემების გამო დაიწყოს.

რას ფიქრობს ხელისუფლება, რამდენად მოსალოდნელია გაზაფხულზე სოციალური მოთხოვნებით საპროტესტო აქციების დაწყება?

პარლამენტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ პოლიტიკური აქტივობა საქართველოში ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, რადგან თავისუფალ საზოგადოებაში ყველას შეუძლია საკუთარი პროტესტის გამოხატვა.

— ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი პოლიტიკური ცხოვრებისგან, სადაც არ იქნება პოლიტიკური აქტივობა. რაც შეეხება რევოლუციას, მე ვფიქრობ, ქართველმა ხალხმა 2003 წელს ძალიან მკაფიოდ გამოხატა თავისი ნება. 2003 წელს საქართველოში დაიწყო ძალიან მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რეფორმების პროცესი, რომელზეც დღეს საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, უკეთესი იქნება, თუ ყველა ჩვენგანი აქცენტს გააკეთებს არა ქვეყნის გარეთ მაგალითების ძებნაზე, არამედ, ქვეყნის შიგნით კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე.

— ჩვენ მზად ვართ, ყველასთან ერთად ვიმუშაოთ, მათ შორის, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც პირველ რიგში აწუხებს ჩვენს მოსახლეობას. ეს პრობლემებია: უმუშევრობა, დასაქმება, სოციალური საკითხები, ფასების ზრდა და ინფლაცია. ეს ის საკითხებია, სადაც ჩვენ მზად ვართ ვიმუშაოთ ყველა ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტთან ერთად, რათა უკეთესობა იგრძნოს თითოეულმა ქართულმა ოჯახმა, — ასეთია პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია.

ხელისუფლების ამ შეთავაზების მიუხედავად, ოპოზიციურ სპექტრს საკუთარი გეგმები აქვს. მართალია, ისინი საკუთარი „ზრახვების“ აფიშირებას ამ ეტაპზე არ ახდენენ, თუმცა, გარკვეულ მინიშნებებს მაინც აკეთებენ.

ამ ეტაპზე ნათელია ისიც, რომ ოპოზიციის ნაწილი საარჩევნო კოდექსზე მუშაობს, ნაწილი გაზაფხულზე აქციებისთვის ემზადება. ცალკეული ოპოზიციონერები დროებითი მთავრობის იდეასა და ვადამდელ არჩევნებზეც ალაპარაკდნენ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მშვიდობიანი გზით უნდა გადადგეს და ამის შემდეგ რეალური ოპოზიციური პარტიების მიერ უნდა შეიქმნას დროებითი მთავრობა. კახა კუკავას აზრით, წელს, შემოდგომაზე, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს და ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს.

ვადამდელი არჩევნების საკითხი ახლა მაინცდამაინც აქტუალური არ არის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ოპოზიციური რვიანი და კიდევ რამდენიმე პარტია საარჩევნო კოდექსზე აქტიურად მუშაობს.

საპარლამენტო ოპოზიცია არც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს და არც საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებს, ყოველ შემთხვევაში, აქამდე პარლამენტში მყოფთ არც ერთ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საპარლამენტო ოპოზიციის აზრით, ქვეყანაში არჩევნები იმ დროს უნდა ჩატარდეს, როგორც ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ანუ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნები და 2013 წელს — საპრეზიდენტო არჩევნები.

საპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებული პოზიცია აქვს რადიკალურ ოპოზიციას. ისინი მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს და ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. თუმცა, რადიკალები პოზიციებს ერთ საკითხში ვერ ათანხმებენ. რადიკალების ერთ ნაწილს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება სურს, მეორე ნაწილს კი — საპარლამენტოსი.

ოპოზიცია ერთიანი პოზიციით გამოსვლას თითქმის ვერც ერთ საკითხში ვერ აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მოწოდება იყო, ოპოზიცია ვერც გაერთიანებას ახერხებს და ვერც — ერთმანეთთან საერთო ენის გამოძებნას.

ისინიც კი, ვინც დღედაღამ გაჰკიოდნენ, რომ შედუღაბებულნი არიან და ერთი მიზნით შექმნილი ბლოკი აქვთ, ისე დაიშალნენ, ახლა ერთმანეთს „გამარჯობასაც“ კი აღარ ეუბნებიან.

ამის მიუხედავად, ცალკეული ოპოზიციონერი ლიდერები დანარჩენებს გაერთიანებას — არა, მაგრამ კონკრეტულ საკითხებში ერთიანობას სთავაზობენ. რამდენიმე დღის წინ „ქართული პარტიის“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ თუ უახლოეს მომავალში საქართველოში რამდენიმე ძირეული მიმართულებით მდგომარეობა არ გამოსწორდება, მოსახლეობის პროტესტი გარდაუვალი იქნება და „ქართული პარტია“ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ პროცესს წამოიწყებს.

„ქართული პარტიის“ ლიდერებმა თავიანთი პოზიციების გაზიარებისკენ სხვა ოპოზიციურ ძალებსაც მოუწოდეს და მოლაპარაკების დაწყებაც შესთავაზეს.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ „ქართული პარტია“ იმასაც აანონსებდა, რომ გაზაფხულზე 50 ათასი მხარდამჭერის შეკრებას შეძლებდა. ამ პარტიის ლიდერები ამ დღეებში საკმაოდ გააქტიურდნენ და რაიონული ორგანიზაციების შექმნასა და კონფერენციების ჩატარებას მართლაც მოუხშირეს. თუმცა, ჰყავთ თუ არა 50 ათასი მხარდამჭერი, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.

„ქართული პარტიის“ მოწოდებას ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ უკვე უპასუხა. საპროტესტო გამოსვლებისთვის ერთიანობა ბევრს მაინცდამაინც არ ხიბლავს.

„ქრისტიან-დემოკრატებს“ აბსტრაქტული გაერთიანების სურვილი არა აქვთ, რადგან ასეთმა აბსტრაქტულმა გაერთიანებებმა საზოგადოებაში იმედგაცრუება მოიტანა.

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრ ლევან ვეფხვაძეს მიაჩნია, რომ საპროტესტო აქციები არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი პოლიტიკური გზა.

ლევან ვეფხვაძე არ გამორიცხავს, რომ საპროტესტო აქციები სხვადასხვა სოციალური მოთხოვნით გაიმართოს, რადგან ხალხი უკიდურესად არის გაჭირვებული და პრობლემები მრავალი მიმართულებით არსებობს.

— თუ აქცია ორიენტირებული იქნება კონკრეტულ მოთხოვნებზე, ამის მხარდაჭერაში „ქრისტიან-დემოკრატები“ პრობლემას ვერ ხედავენ, თუმცა, შანტაჟის ენით ხელისუფლებასთან ამ ეტაპზე ლაპარაკი არ ღირს, — ასეთია ლევან ვეფხვაძის მოსაზრება.

ვინ აპირებს შანტაჟის ენით საუბარს, ვინ — მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას და ვინ — მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანას? ეს ყველაფერი თანდათან გაირკვევა. საკუთარი მოთხოვნებისა და გეგმების პრეზენტაციას პოლიტიკური სპექტრი ამ დღეებში დაიწყებს.

## ლევან გაჩეჩილაძე — მეჩანგლე ბაქრაძე ძალიან მეცოდება



„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს.

როგორც სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში გლდანის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, სულ ცოტა ხნის წინ „ქართული პარტია“ ხელისუფლებისთვის სოციალურ და პოლიტიკურ სექტას წარმოადგენდა და არაფრად არ მიიჩნევდა, მაგრამ რაც „ქართულმა პარტიამ“ კონფერენციების ჩატარება დაიწყო თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ხელისუფლება უკვე დიალოგზე წასასვლელად მზადაა.

— ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე, მეჩანგლე ბაქრაძე, მეცოდება ძალიან. როგორც კი გაიგეს, ჩვენი კონფერენციების შესახებ, მაშინვე დაიწყეს პასუხად დიალოგებზე საუბარი, თან ისეთმა ხალხმა, რომ მათთვის ეს მუხლების კანკალს ნიშნავს. ჩვენ ერთი თვის წინ ვიყავით მათთვის მიუღებელი სოციალური და პოლიტიკური სექტა. დღეს უცებ კანკალით, დიალოგის ხელი არის გამოშვერული. ეს არის ამ გაზაფხულზე დამდგარი ჩვენი პირველი გამარჯვება, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ლევან გაჩეჩილაძემ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს მოუწოდა, რომ თანაგუნდელებთან ერთად, მის მხარეს გადავიდეს და ყველაფერი უსისხლოდ დასრულდება.

გარდა ამისა, ლევან გაჩეჩილაძემ კონფერენციაზე ხელისუფლებას 2-პუნქტიანი ულტიმატუმი წაუყენა.

— ჩვენი ულტიმატუმია საქართველო სააკაშვილის და მისი კრიმინალური ბანდის გარეშე. ბაქრაძის თამადობით მოვუწოდებთ ყველას, გადმოვიდნენ ჩვენთან და მერწმუნეთ, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდება. და მეორე: დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ქართველი ხალხი მალე იტყვის — „საქართველო ნაციონალური მოძრაობის გარეშე!, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

— ცნობილი შიზოფრენიკი ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ ჩვენ გვინდოდა ჯიგრით მოსვლა ხელისუფლებაში. დიახ, ჯიგარი გულს ნიშნავს და ჩვენ მალე გულით გავალთ ქუჩაში და გულით შევცლით ამ ხელისუფლებას, — განაცხადა მან.

კონფერენციაზე სიტყვით გია გაჩეჩილაძეც(უცნობი) უნდა გამოსულიყო, მაგრამ მან ღონისძიებაზე მისვლა ვერ შეძლო. სანაცვლოდ, ახმეტელის თეატრში მისულ საზოგადოებას, უცნობისა და ნატო მეტონიძის ახალი კლიპი წარუდგინეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ბურებს საქართველოში ჩამოსვლა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვთ

„ბი-ბი-სი“ საქართველოში ბურების შესაძლო ჩამოსახლებას გამოეხმაურა. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ხელისუფლებ სამხრეთ აფრიკელ ფერმერებს, საქართველოში მიწებს სთავაზობს. ამ მიზნით, მათ 30 ფერმერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიწის ნაკვეთებიც დაათვალიერებინეს. მთავრობას იმედი აქვს, რომ ბური ფერმერები ამ მიწებზე მოგებიანი მეურნეობის ამუშავებას შეძლებენ.

— აქ არის ორმხრივი ინტერესი: ისინი შესაფერის ადგილას ეძებენ, ჩვენ კი ხალხს, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში დაგვეხმარება. ჩვენი ინტერესები იმდენად ემთხვევა ერთმანეთს, რომ დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროექტი იქნება წარმატებული, — განუცხადა „ბი-ბი-სის“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა (მირზა) დავითაიამ.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში, ჩამოსული სტუმრებისათვის უკვე ცხადი გახდა, რომ მათ საქართველოში ბევრ რამესთან მოუწევთ შეგუება. ბურები ცივ კლიმატურ პირობებს მოუმზადებლები შეხვდნენ. თუმცა საქართველოს ხელისუფლება მათ სრულ მხარდაჭერასა და უსაფრთხოებას სთავაზობს. პაპუნა (მირზა) დავითაია იმედოვნებს, რომ ბურები არჩევანს ქართულ მიწებზე შეაჩერებენ.

**მედიანიუსი**

## ხელისუფლების შეცვლა „სახალხო კრებას“ შეუძლია



„სახალხო კრების“ წინააღმდეგობის კომიტეტი გუშინ ჭიათურაში დაფუძნდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა ელიზბარ ჯაველიძემ.

— ოთხჯერ ასობით ათასი კაცი ქუჩაში გამოიყვანეს და მერე იმას დარდობდნენ, ეს ხალხი როგორ დავშალოთო, მოუწოდებდნენ, წადით, საქართველოს სადღეგრძელო დალიეთო. მე ისინი საქართველოს სიყვარულს ვერ მასწავლიან, მაგრამ საქეიფოდ საქმე ნადმვილად არ გვაქვს, — განაცხადა ჯაველიძემ.

მისივე თქმით, თუ ხელისუფლება მშვიდობიანად არ წავა, მთელი მსოფლიო მოწმეა, თუ რაც ხდება აღმოსავლეთში.

— სახალხო კრება არის ის ძალა, რომელსაც ამ ხელისუფლების გაშვება შეუძლია. გავაკეთებთ ყველაფერს ისე, როგორც ამას ხალხი გვიბრძანებს, — აღნიშნა ჯაველიძემ.

სახალხო კრებამ უკვე წინააღმდეგობის 40-მდე კომიტეტი დაარსა, უახლოეს მომავალში კომიტეტების მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამოყალიბებაა დაგეგმილი.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაი ე

# ალეკო ხეთაგურმა ოჯახის წევრები რუსულ კომპანიაში დაასაქმა

## რატომ ასაიდუმლოებს ხელისუფლება აზერბაიჯანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას

**ექსპერტები და ოპოზიციის დიდი ნაწილი ამტკიცებენ, რომ საქართველოში გაზის ტარიფი არნახულად მაღალია. მათი მოსაზრებით, გაზის ტარიფი, სულ ცოტა, უნდა განახევრდეს. ამის საფუძველს, მათივე მტკიცებით, აზერბაიჯანთან გაფორმებული ხელშეკრულება იძლევა. მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებას ეს დოკუმენტი გასაიდუმლოებული აქვს.**

„თეთრების“ ლიდერის თქმით, საქართველოში ელიტური კორუფცია ყვავის და ბიზნესის 80 პროცენტს დეპუტატები აკონტროლებენ. რა ბიზნესს აკონტროლებენ დეპუტატები, სად დასაქმეს მინისტრებმა ოჯახის წევრები, რატომ არის გასაიდუმლოებული აზერბაიჯანთან ხელმოწერილი შეთანხმება, ამ თემებზე **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

— ჩვენ ვიცით ამერიკა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია ვისგან და რა ფასად იღებენ ბუნებრივ აირს. სამაგიეროდ, არ ვიცით, რა ფასად იღებს საქართველო გაზს. ორ წელიწადზე მეტია ვითხოვთ, საჯარო გახადონ აზერბაიჯანთან დადებული ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში მაინტერესებს გაზის ფასი, მისი კალორიულობა და რა წნევით მოგვეწოდება. ეს ყველაფერი, როგორც აღვნიშნე, გასაიდუმლოებულია. კორპორაციის თანამშრომლებს აკრძალული აქვთ ამ თემაზე საუბარი. ალბათ, არც აქვთ ინფორმაცია და ამ თემაზე საუბარსაც გაურბიან. ჩვენ როგორც კი ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გავაკეთეთ, ვანო მერაბიშვილი აზერბაიჯანში ჩავიდა. დარწმუნებული ვარ, ეს სწორედ გაზის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც ასე საგულდაგულოდ არის გასაიდუმლოებული.

***— რატომ ასაიდუმლოებს ხელისუფლება ამ შეთანხმებას?***

— იმიტომ რომ, ამ შეთანხმების თანახმად, ტარიფი ჩვენთან ბევრად იაფი უნდა იყოს. ამის გარდა, ჩვენ უნდა გავიგოთ, რამდენად იყენებს ჩვენი სახელმწიფო ადრინდელ სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებებს.

***— რომელ ხელშეკრულებაზე საუბრობთ?***

— შაჰ-დენიზზე მოგახსენებთ. საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ სწორედ აზერბაიჯანული გაზის შემოსვლამ და ტრანზიტმა საქართველოს ტერიტორიაზე, შაჰ-დენიზის პროექტის პირველი ეტაპის განხორციელებამ და საქართველოს გაზის უწყვეტად მომარაგებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქვეყანაში ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებაში. საქართველომ მიიღო ისეთი შესაძლებლობები, რომელთა გონივრულ გამოყენებას უნდა უზრუნველეყო ბუნებრივი გაზის რეალურად შეღავათიანი ფასი როგორც მოსახლეობის, ასევე წარმოებისათვის, რაც მძლავრი ბიძგი უნდა გამხდარიყო ეკონომიკის განვითარებისათვის.

***— რითი ასაბუთებთ, რომ საქართველოს მოსახლეობამ ბუნებრივ აირში გაცილებით ნაკლები უნდა გადაიხადოს?***

— ეს რამდენიმე მომენტით არის განპირობებული. 1. საქართველოს მიეცა უფლება, გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ შეიძინოს 500 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი სპეციალური ტარიფით — 55 აშშ დოლარად; 2. საქართველო ტრანზიტის გასამრჯელოდ უფასოდ იღებს 10%-ს იმ გაზის მოცულობისას, რომელიც ჩრდილოეთის მარშრუტით რუსეთიდან საქართველოს გავლით მიეწოდება სომხეთს. ეს დაახლოებით საშუალოდ 200 მილიონი კუბური მეტრია. ესეც ე.წ. ვარდების რევოლუციამდე ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. 3. საქართველო ტრანზიტის გასამრჯელოდ უფასოდ იღებს 5%-ს იმ გაზის მოცულობისას, რომელიც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით მიეწოდება თურქეთს — ეს



დაახლოებით 330 მლნ კუბური მეტრია. მარტივი არითმეტიკით, საქართველოს 1 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი უჯდება დაახლოებით 27,5 მლნ აშშ დოლარი. გამოდის, რომ 1 კუბური მეტრის ფასია 2,7 ცენტი, რაც დაახლოებით 5 თეთრია. ცხადია, გაზის ეს მოცულობა საკმარისი არ არის საქართველოსთვის. დამატებით შესაძენი გაზის მოცულობა, ალბათ, 200-470 მლნ კუბური მეტრის დიაპაზონში იქნება. აქ იმალება სწორედ ძაღლის თავი.

***— რატომ გგონიათ, რომ სწორედ აქ იმალება ძაღლის თავი?***

— იმიტომ რომ არ ვიცით, რა უჯდება ქვეყანას გაზის ეს დამატებითი მოცულობა. როდესაც მომხმარებელს ეუბნებიან ძალიან მაღალი ტრიბუნიდან, რომ გაზის შეწონილი ფასი 167-169 აშშ დოლარია, მაშინ გამოდის, რომ ქვეყანა დამატებით გაზში, დაახლოებით 500 მლნ კუბურ მეტრში, არნახულად მაღალ ფასს იხდის, დაახლოებით 400 დოლარზე მეტს კუბურ მეტრზე და მისი ღირებულება საგრძნობლად აღემატება რეგიონში გაზის არმქონე ქვეყნების ფასებს.

***— პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ საქართველო გაზს ყველაზე იაფად ყიდულობს.***

— სააკაშვილი მატყუარაა. მისი ყველა სიტყვა ტყუილია. სომხეთს მისი მოძმე რუსეთი გაზს 180 დოლარად აძლევს. თურქეთისგან აზერბაიჯანი ჯერჯერობით მხოლოდ 120 დოლარად იღებს გაზს. სომხეთიც და თურქეთიც გაზს ტრანზიტით საქართველოს გავლით იღებენ. საქართველოს მოსახლეობა კი 1 000 კუბურ მეტრ გაზში იხდის 510 ლარს ანუ 292 აშშ დოლარს, რაც ძალიან გაბერილი თანხაა! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: საქართველოს გაღატაკებული მოსახლეობა არნახულად გაზრდილ ტარიფს იხდის ბუნებრივ გაზში და ესაა დამსახურება დღევანდელი ხელისუფლების, მათ მიერ ჩატარებული საიდუმლო და საეჭვო გარიგებებისა. ქვეყანამ ვერ მიიღო, ვერ გამოიყენა და ვერ იყენებს იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც უნდა მიეღო ისეთი მეგაპროექტის განხორციელების შემდეგ, როგორიც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენია. ასევე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში გაზის, საწვავისა და საკვები პროდუქტების ფასების განახევრება შეიძლება.

***— თუ შეიძლება, რატომ არ ნახევრდება?***

— იმიტომ, რომ ამ ყველაფერს ხელისუფლება აკონტროლებს. ქვეყანაში, სადაც კონკურენტული გარემო არ არსებობს, ყვავის კორუფცია. რომელ კონკურენტულ გარემოზეა საუბარი, როცა დეპუტატების ხელშია საქართველოს ბიზნესის 80%. ეს დეპუტატები პარლამენტში ერთხელაც არ მინახავს სიტყვით გამოსული. პარლამენტმა უკვე კარგა ხანია დაკარგა პოლიტიკური ფუნქცია. ის გადაიქცა პრეზიდენტის მეგობრების ბიზნესკლუბად. თუ გინდა, გახდე ხელისუფალი, ახლოს უნდა იყო პრეზიდენტის ოჯახთან ან იმ ვიწრო წრესთან, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს. არავინ იფიქროს, რომ გადაწყვეტილებებს დღეს პარლამენტი ან მინისტრები იღებდნენ. ქვეყანას სულ სხვა ადამიანები მართავენ.

***— ვინ არიან ეს სხვა ადამიანები?***

— თავისუფლების ინსტიტუტი და გიგა ბოკერია.

***— გიგა ბოკერია ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანია. თქვენ კი თქვით, რომ გადაწყვეტილებებს მთავრობაში მყოფები არ იღებენ.***

— უშიშროების საბჭოს მდივანი მთავრობა არ არის. წლების განმავლობაში ის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, მერე — საგარეო საქმეთა მინისტრისა. ამის მიუხედავად, ყველა გადაწყვეტილებას ის იღებდა. პარლამენტს რა გადაწყვეტილების მიღება უნდა მოსთხოვო, როცა იქ ხალხი დასამალავად მიდის. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, მხედველობაში დემოკრატიული ქვეყნები მყავს, პარლამენტში ფულიანი ხალხი არ შედის.

***— რატომ არ შედიან?***

— იმიტომ, რომ პარლამენტის წევრზე ყველამ ყველაფერი იცის. დემოკრატიულ ქვეყანაში პარლამენტარი ხალხისგან ვერაფერს დამალავს. საქართველოში პარლამენტში მიდიან იმიტომ, რომ ხალხს დაემალონ და ხალხი გააკოტრონ. მე არაერთხელ განვაცხადე, რომ საქართველოში არის ელიტური კორუფცია. ამის ნათელი მაგალითი ჩვენი დეპუტატები არიან, რომლებიც თითქმის ყველაფერს აკონტროლებენ.

***— მაშინ გვითხარით, რა ბიზნესს აკონტროლებენ დეპუტატები?***

— მაგათი გაუკონტროლებელი არაფერი აღარ დარჩა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ციხეში პურის შეტანასაც პარლამენტის წევრი აკონტროლებს. პარლამენტში ზის მარგანეცის მომპოვებელი და მადნეულის ხელმძღვანელი. ბოლო დროს დიდი ამბები ატყდა „მარშრუტკებთან“ დაკავშირებით. ამ ბიზნესს აკონტროლებს ხერხეულიძე.

***— აქამდე არავის უთქვამს, ხერხეულიძე თუ იდგა „მარშრუტკების“ ბიზნესის უკან.***

— მხოლოდ ეკა ხერხეულიძე არა დგას. ის და მისი ოჯახი აკონტროლებენ ამ ბიზნესის სერიოზულ ნაწილს. საქართველოში არის საყოფაცხოვრებო და ელიტური ბიზნესი. მსოფლიოში კი ელიტური ბიზნესია. საქართველოში იმით აკეთებენ ფულს, რაც ყოფით საკითხებს უკავშირდება. მხედველობაში მაქვს წყალი, გაზი, ტელეფონი, სამარშრუტო ტაქსები, საკვები პროდუქტები. ქვეყანაში საშინელი მდგომარეობაა, რაზეც ხმას ბევრი არ იღებს. მე ძალიან მწყდება გული საქართველოში აკრედიტებულ ელჩებზე.

***— იმათზე რატომ?***

— ისინი ძალიან კარგად ხედავენ, რომ საქართველოში კორუფცია ყვავის, მაგრამ ხმას არ იღებენ, არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პენსიონერების პენსია 5-ჯერ გაიზარდა, გამგებლებისა და გუბერნატორებისა კი — 100-ჯერ. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ამას ისინი ვერ ან არ ამჩნევენ. გულდასაწყვეტია ისიც, რატომ არაფერს ამბობენ ისინი დენისა და გაზის ასეთ მაღალ ტარიფებზე.

***— ამ ტარიფებს ისინი ხომ არ ადგენენ. ტარიფებს ადგენს მარეგულირებელი კომისია.***

— გურამ ჩალაგაშვილზე თუ საუბრობთ, ის გაზისა და წყლის ტარიფების გაგებაში არ არის. არც ტარიფების დადგენაა მისი საქმე.

***— აბა, რა არის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის საქმე?***

— ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, ტარიფების დადგენა იქნებოდა მარეგულირებლის საქმე. ჩალაგაშვილის ფუნქცია კი არჩევნების დროს დასავლეთ საქართველოში ნაციონალებისთვის ხმების მოგროვებაა. მასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული განცხადება უნდა გავაკეთო. მე პასუხს ვაგებ ყველა ჩემს სიტყვაზე. თუ ჩემი ნათქვამი არ გამართლდა, პოლიტიკიდან წავალ.

***— რა უნდა თქვათ ამისთანა?***

— ყველას კარგად გვახსოვს, რომ ადრე სააკაშვილი გაიძახოდა, ხელისუფლებაში მყოფები თანამდებობებზე სულ თავიანთ ნათესავებს ნიშნავენო. ახლა მე მოგახსენებთ, ვინ და სად ნიშნავს თავის ნათესავებს. როგორც უკვე გითხარით, ჩალაგაშვილმა ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის ტარიფების შესახებ არაფერი იცის. მისი ინტერესთა სფერო მარეგულირებელში, სემეკის ლიცენზიანტებში მხოლოდ საკუთარი ახლობლების დასაქმებაა. თუნდაც ის რად ღირს, რომ მისი მეუღლე და სიძე თბილისის წყალკანალში დღევანდელ „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში“ (ესეც რუსული კომპანიაა, დასავლეთევროპული არ გეგონოთ) მოაწყო სამუშაოდ. დიახ, ასე გულიანად ზრუნავს მოსახლეობის წყლის ტარიფებსა და, ზოგადად, „გონივრულ“□ტარიფებზე, მის რეალურობაზე ბატონი გურამ ჩალაგაშვილი. ხუმრობა იქით იყოს, ეს კანონის დარღვევა და აშკარა ინტერესთა კონფლიქტია, გნებავთ, ფარული კორუფციაა და აქ ორივე მხარეა დამნაშავე, მათ შორის, „წყალკანალიც“□და მისი საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერი იორგ მატიასი, რომლის ხელფასი, როგორც ამბობენ, 45 000 ევროს შეადგენს! აი, წყლის გაზრდილი ტარიფი მოსახლეობისათვის! თუმცა, „რეგულირებად“ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში ეს მიღებული პრაქტიკაა. ენერგეტიკის მინისტრის, ბატონი ხეთაგურის მამა რუსული „ინტერ რაოს“ კუთვნილ „თელასში“ მუშაობს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. ბატონი მინისტრის მეუღლე დეპარტამენტის დირექტორად მუშაობს გურამ ჩალაგაშვილის სემეკში. მეტიც, ხეთაგურმა თავისი ძმა ასევე რუსულ „ინტერრაოს“ ჰიდროელექტროსადგურ „ხრამზე“ მოაწყო. მოკლედ, ჩვენ რუსული მუსიკის: ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, სტრავინსკის მოსმენას გვიკრძალავენ, თორემ თვითონ ზღაპრულად შეხმატკბილებულნი არიან რუსულ კაპიტალთან, პუტინის რუსეთის კაპიტალთან.

***— ოპოზიციონერები ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზულ პრეტენზიებს უყენებთ. ისინი კი ამ ბრალდებებზე რეაგირებას არ ახდენენ. ეს რისი ბრალია? ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, ხელისუფლება ხმას იმიტომ არ იღებს, რომ მართალია.***

— იგნორირება ამ ხელისუფლების პოლიტიკაა. ეს მათ ხელში საკმაოდ სერიოზულ იარაღად იქცა. ამის წყალობით გაზეთებში გადაჭარბებული კრიტიკაა. ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა რომ ვიყოთ, გაზეთებში დაწერილი სტატიების საფუძველზე ბევრ მინისტრს უნდა დაეტოვებინა თანამდებობა. ევროპაში ასეთი ფაქტები ძალიან ხშირად ხდება. მარტო ამ ერთი კვირის განმავლობაში ორმა მინისტრმა დატოვა თანამდებობა გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების გამო. ჩვენთან კი ხელისუფლება იგნორირების გზას ადგას.

## აფხაზეთში რუს მესაზღვრეთა მესამე სამხედრო ქალაქი გაიხსნა

ოკუპირებული აფხაზეთის დაბა ახალ ათონში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს სამხედრო ქალაქი საზეიმოდ ამოქმედდა.

საინფორმაციო სააგენტო „აპსნი.რუ“-ს ცნობით, სასაზღვრო კომპლექსი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით არის მოწყობილი. მას აქვს წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების საკუთარი სისტემა.

სამხედრო ქალაქის საზეიმო გახსნის ცერემონიას აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს ხელმძღვანელი აფხაზეთში, გენერალ-მაიორი იური ზვერიკი, აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი ასლან ბჟანია, გუდაუთის რაიონის ხელმძღვანელობა და ვეტერანი მესაზღვრეები დაესწრნენ.

მედიანიუსი

## სომხეთი გაზსადენის აზერბაიჯანისათვის მიყიდვაში პრობლემას ვერ ხედავს

სომხეთის ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთი-სამხრეთის გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის 25 პროცენტის აქციების გასხვისება მის ექსპლოატაციას ხელს არ შეუშლის. სომხეთის საინფორმაციო სააგენტო „არკას“ ინფორმაციით, შესაბამისი განცხადება ქვეყნის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა არმენ მოვსესიანმა პარლამენტში გამოსვლისას გააკეთა.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა სომხეთში ვიზიტისას განაცხადა, რომ საუკეთესო შემთხვევაში, გაზსადენის აქციების 25 პროცენტი, შესაძლოა, ლონდონის ბირჟაზე განთავსდეს. თუ გაზსადენის ნაწილს რომელიმე აზერბაიჯანული კომპანია შეიძენს, ეს მის ექსპლოატაციაზე არ იმოქმედებს, — აღნიშნა არმენ მოვსესიანმა.

მისი ინფორმაციით, აღნიშნული საკითხი მთავრობაში საფუძვლიანად შეისწავლეს. თუ აზერბაიჯანის მიერ გაზსადენის შესყიდვის შემთხვევაში სომხეთს რაიმე პრობლემები შეექმნება, ქვეყანა სათადარიგო, ირანთან დამაკავშირებელ გაზსადენს გამოიყენებს.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალის მეშვეობით რუსული ბუნებრივი აირი საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთს მიეწოდება. მისი შეძენის სურვილი აზერბაიჯანმა უკვე ოფიციალურად დაადასტურა. 2010 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონით, აღნიშნული გაზსადენი იმ ობიექტთა ნუსხიდან ამოიღეს, რომელთა გასხვისება სახელმწიფოს ეკრძალება.

მედიანიუსი

## ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა მშვიდობიანი რევოლუციაა

სახალხო კრება ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ გზად მშვიდობიან რევოლუციას ასახელებს.

როგორც სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარე სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაციის დამფუძნებელ ყრილობაზე განაცხადეს, ხალხმა გადაწყვეტილება 25 ნოემბერს მიიღო და თავადვე უნდა აღასრულოს. ახალგაზრდების სიტყვით გამოსვლისას განაცხადეს, რომ „არ ეშინიათ იმათი, ვისაც მათი ყველაზე მეტად ეშინიათ, და ეს სწორედ ხალხია“. ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, მათი მიზანია ახალგაზრდების გაერთიანება და პროცესების გააქტიურება ხელისუფლების წინააღმდეგ.

ორგანიზაციის თავმჯდომარედ აკაკი ჩოჩელიანი აირჩიეს. ღონისძიებას 500-მდე ახალგაზრდა და სახალხო კრების წარმომადგენლები ნინო ბურჯანაძე, თემურ შაშიაშვილი და სხვები მონაწილეობდნენ.

ინტერპრესნიუსი

# ალასანია შსს–ს გაკონტროლებას ითხოვს

## თავისუფალ დემოკრატებს პოლიციის გაზრდილი უფლებები აწუხებთ

**„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის კონტროლისთვის საზოგადოებრივი საბჭოს შექმნაზე გააკეთა განცხადება. ალასანია სახალხო დამცველს მოუწოდებს, რომ მათ მიერ დადებული პროექტის განხორციელებაში ჩაერთოს.**





ნათია ხურცილავა

„თავისუფალმა დემოკრატებმა" აღნიშნული პროექტი ცოტა ხნის წინ გააცნეს საზოგადოებას. ისინი აცხადებენ, რომ პოლიციის საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა განპირობებულია იმ რეალობით, რომელიც შექმნილია და ამას ასევე ხელს უწყობს პოლიციის კანონში შესული ცვლილებები, რომელიც პოლიციელს „გონივრული ეჭვის" საფუძველზე უფლებას აძლევს, მოქალაქე შეაჩეროს და შეამოწმოს.

— შინაგან საქმეთა სისტემაში საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის მიზანია, ერთი მხრივ, პოლიციის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი და, მეორე მხრივ, ამავე საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. პოლიციის საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა განპირობებულია იმ რეალობით, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. იმატა პოლიციელების მხრიდან თვითნებური მოქმედებებისა და უფლებამოსილებების გადამეტების ფაქტებმა, რაც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს. ამას ხელს უწყობს პოლიციის შესახებ კანონში 2010 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილებებიც, რომლის თანახმადაც, პოლიციელს ყოველგვარი კონკრეტული საფუძვლის გარეშე, მხოლოდ ე.წ. გონივრული ეჭვის ფარგლებში აქვს პიროვნების შეჩერებისა და მის ტანსაცმელზე ზედაპირული შემოწმების განხორციელების უფლება. აღნიშნული ნორმა პოლიციელს სხვა თვითნებური მოქმედებებისა და ამ მოქმედებების „სამართლებრივი გამართლებისკენ" უბიძგებს, — აცხადებენ „თავისუფალი დემოკრატები".

ირაკლი ალასანიამ გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო სექტორს კონკრეტულ საკითხზე თანამშრომლობისა და დისკუსიების გამართვისკენ მოუწოდა.

— მინდა მივმართო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დავიწყოთ ღია მსჯელობა, თუ რა ფორმით იქნება შესაძლებელი სამოქალაქო კონტროლის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაზე. ჩვენ ვთვლით, რომ ყველაზე ეფექტური იქნება, საზოგადოებრივი საბჭოს მეშვეობით განხორციელდეს კონტროლი. ჩვენთვის მთავარია, ახალ საარჩევნო გარემოში, რომლის მთავარ ელემენტს წარმოადგენს პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების დისტანცირება საარჩევნო პროცესიდან, სწორედ პოლიციის დეპოლიტიზაცია უნდა მოხდეს. ვთვლით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიცია საჭიროებს პოლიტიკური დიქტატისგან გათავისუფლებას. ამ შემთხვევაში პოლიციელი ბევრად უფრო კარგად დაიცავს საზოგადოებრივ წესრიგს და მოემსახურება საზოგადოებას, — განაცხადა ალასანიამ.

აღნიშნულ პროექტზე „თავისუფალი დემოკრატების" წევრმა ლევან იზორიამ იმუშავა.

ლევან იზორიას იმედი აქვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა აღნიშნული პროექტით დაინტერესდება.

**ლევან იზორია:**

— წარმოდგენილი პროექტი ორ კონკრეტულ მიზანს ემსახურება: პირველი, საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება პოლიციის საქმიანობაზე, იმ სამართალდარღვევების გამოვლენა, რომელსაც ზოგჯერ პოლიციის მხრიდან აქვს ადგილი. ასევე, რასაკვირველია, უფლებამოსილებების ფაქტების გამოვლენა, რომელსაც საზოგადოება ხშირად აწყდება პოლიციის მხრიდან და, რასაკვირველია, ამ ყველაფერზე სწრაფი რეაგირების შემუშავება. მეორე კონკრეტული მიზანია საზოგადოების თანამონაწილეობა პოლიციის სტრატეგიული საქმიანობის განსაზღვრის საქმეში. საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის აუცილებლობა კონკრეტულმა რეალობამ განაპირობა. პოლიციელების მხრიდან ადგილი აქვს უფლებამოსილებების გადამეტებას. მეტიც, 2010 წლის სექტემბერში სამართლებრივადაც განმტკიცდა საფუძველი იმისთვის, რომ პოლიციას თვითნებურად ემოქმედა. ე.წ. გონივრული ეჭვის საფუძველზე. მხედველობაში მაქვს მოქალაქის შეჩერება და მის ტანსაცმელზე ჩხრეკის ჩატარება. ეს ყველაფერი პოლიციას თვინებური მოქმედების სამართლებრივ საფუძველს აძლევს და მორიგი თვითნებობისკენ უბიძგებს. ამიტომ ჩვენი მიზანია საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, ასევე იმედს გამოვთქვამთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დაინტერესდება აღნიშნული პროექტით, რამდენადაც მას უნდა აინტერესებდეს, ერთი მხრივ, საზოგადოების თანამონაწილეობა და თავად პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, ზოგადად, სამართალწესების უზრუნველყოფა. ეს პროექტი ემსახურება კონტროლის გაძლიერებას, მათ შორის, დეპოლიტიზაციის ასპექტში საზოგადოების მაქსიმალურ თანამონაწილეობას, რათა საზოგადოებამ პოლიციასთან ერთად განსაზღვროს უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები ქვეყანაში. საზოგადოებრივი საბჭო ევროპის მთელ რიგ ქვეყნებშია აპრობირებული. მას შესაძლებლობა ექნება, სწრაფი რეაგირება მოახდინოს. ჩვენ გამოვთქვით სურვილი, შევხვდეთ სახალხო დამცველს, რათა მან თავად შეარჩიოს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა, საზოგადოებრივ საბჭოში იყვნენ წარმოდგენილნი, მათ შორის, რეგიონულ დონეზეც.

როგორ წარმოუდგენია ირაკლი ალასანიას აღნიშნული პროექტის განხორციელება? ის აცხადებს, რომ სახალხო დამცველმა უნდა წარადგინოს საზოგადოებრივ საბჭოში წევრები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების წევრები იქნებიან და უშუალოდ აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ.

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი სახალხო დამცველთან ითხოვს შეხვედრას, რომ მათი პროექტი გააცნოს გიორგი ტუღუშს.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები გადმოედება თუ არა საქართველოს, ამ საკითხზე ექსპერტები შეფასებებს აკეთებენ. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ რევოლუცია გარდაუვალია, თუ ხელისუფლება არ წავა დათმობებზე.

როგორია ამ საკითხზე ალასანიას პოზიცია და გავა თუ არა ის აქციების შემთხვევაში ქუჩაში?

ალასანია არ გამორიცხავს საპროტესტო აქციებს, მეტიც, ის თვლის, რომ საჭიროა სწორი საპროტესტო აქცია, რომელი კონკრეტულ მოთხოვნაზე იქნება ორიენტირებული.

**ირაკლი ალასანია:**

— მე ვთვლი, რომ არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა უალტერნატივო გზაა. ეს არის ის, რასაც ჩვენ პარტნიორებთან ერთად თანმიმდევრულად მივყვებით. ეს არის ჩვენი სტრატეგია. რაც მთავარია, ჩვენ დავიწყეთ ყველაზე სერიოზული პოლიტიკური რეფორმის პროცესი ჩვენს ქვეყანაში, რომ მშვიდობიანი, თანმიმდევრული, კონსტიტუციური არჩევნების გზით მოხდეს საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად ხელისუფლების შეცვლა. ჩვენთვის მთავარია, რომ ყველა ეს ენერგია, მათ შორის, ის საპროტესტო ენერგია, რომელიც არის ხელისუფლების უუნარო პოლიტიკის გამო საზოგადოებაში, იმ სოციალური მდგომარეობის გამო, რაც მათი დამღუპველი ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის გამო მოხდა ჩვენს ქვეყანაში, გაერთიანდეს სწორი მიზნით. ტყვია მიზანში უნდა მოვახვედროთ. ყველა დანარჩენი ნაბიჯი, რაც ძალადობას გამოიწვევს, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის იქნება დამღუპველი, რაც მთავარია, ფუჭი გასროლა იქნება. აქედან გამომდინარე, ყველა პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებ, საკუთარი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური აქტივი მოახმაროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებას. ეს პირდაპირ გულისხმობს ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას და ამ გზით ხელისუფლების შეცვლას, რაც გარდაუვალია. მე ვთვლი, რომ ხელისუფლებამ საკუთარი უუნარო და უპასუხისმგებლო მმართველობის შემდეგ ქვეყანაში შექმნა სისტემა, სადაც ჩვენი მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა უმუშევარია. მილიონ 800 ათასი ჩვენი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს მიღმაა. მოქალაქეების 80 პროცენტი ხელმიუწვდომელი ჯანდაცვის გარეშეა დატოვებული. ამ შემთხვევაში სწორი საპროტესტო აქციაა ის ფორმა, რომლითაც ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ ამ პოლიტიკაზე. საპროტესტო აქციის მიზანია, შევცვალოთ ხელისუფლებისა და კონკრეტული მინისტრის პოლიტიკა, რომელიც არასწორია. მთავარია, მთელი ენერგია მივმართოთ არჩევნებით ხელისუფლების შეცვლასა და ნაციონალური მოძრაობის უმცირესობაში გადაყვანაზე საპარლამენტო არჩევნებში. ჩვენ ყველაზე სერიოზულ პოლიტიკურ პროცესში ვართ შესული. ეს არის საარჩევნო სისტემის რეფორმირების საკითხი. ამ საკითხზეც ხელისუფლებაზე ზეწოლა როგორც მოლაპარაკების შიგნიდან, ასევე საზოგადოების მხრიდან უნდა განხორციელდეს. საპროტესტო აქციები — ეს არის ფორმა, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს, რომ ზემოქმედება მოვახდინოთ ხელისუფლებაზე. ის, რომ სააკაშვილი წასასვლელია, ის, რომ სააკაშვილი რეალურად გახდა ქვეყნის განვითარების გზაზე ბარიერი, ერთია, მაგრამ, მასთან ოპონირება, მის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა არ უნდა გადავიყვანოთ სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. ეს ყველა პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკურმა ძალამ უნდა გაითავისოს.

## სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს



სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და პანიკის საფუძველი არ არსებობს. ამის შესახებ სააგენტო „რესი" იუწყება.

აღნიშნული განმარტება ე.წ. ეროვნული ბანკის თავმჯდომარემ ოლეგ ძანტუევმა გასულ კვირაში მოსკოვის ბანკის ვლადიკავკაზის ფილიალის გაძარცვასთან დაკავშირებით გააკეთა. რუსული მედიის ინფორმაციით, ფილიალიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკის კუთვნილი 200 მილიონი რუბლი გაიტაცეს.

— ერთადერთი კომენტარი არსებობს გთხოვთ, ნუ აჰყვებით მათ, ვინც პანიკას სთესს. ჩვენ ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობთ, — განაცხადა ძანტუევმა.

მისივე თქმით, ე.წ. ეროვნული ბანკი მოვალეობების მთლიანად შესრულებას აგრძელებს.

— სტუდენტების, პენსიონერებისა და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადახდა დაგვიანების გარეშე ხდება, — აღნიშნა ძანტუევმა.

მოსკოვის ბანკის ვლადიკავკაზის ფილიალი 28 თებერვალს გაძარცვეს.

ინტერპრესნიუსი

## პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საბჭოები ზეპირ მოსმენას დაასრულებენ

პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოები პატიმართა საქმეებზე ზეპირ მოსმენებს დღეს დაასრულებენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს. ხვალინდელი ზეპირი მოსმენის შემდეგ გაირკვევა, საბჭოები ვადაზე ადრე რამდენ პატიმარს გაათავისუფლებენ.

პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმოვმოქმედი საბჭოები ყოველთვიურად იხილავენ და შესაბამისად პატიმრების გათავისუფლება ყოველთვე ხდება.

საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი საბჭოები არსებობს.

ინტერპრესნიუსი

## ვაშაძე სლოვაკეთს ეწვევა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დღეს სამუშაო ვიზიტით სლოვაკეთის რესპუბლიკას ეწვევა. როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, დაგეგმილია ვასაძის შეხვედრა კოლეგა მინისტრისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ინიციატივის განხორციელებაში მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

გრიგოლ ვაშაძე მონაწილეობას მიიღებს ამავე ინიციატივის, ე.წ. ვიშეგრადის ოთხეულის შეხვედრაში. მხარეები იმსჯელებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების მეორე სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებზე, რომლის გამართვაც პოლონეთში შემოდგომისათვის იგეგმება.

გრიგოლ ვაშაძე ასევე მონაწილეობას მიიღებს ბრატისლავის 2011 წლის გლობალური უსაფრთხოების მეექვსე საერთაშორისო ფორუმში, სადაც ის სიტყვით გამოვა.

მედიანიუსი

## არასამთავრობოები თბილისის საკრებულოს დეპუტატების მიერ პრემიების აღებას აპროტესტებენ

კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციური პარტიების ზოგიერთი წევრის მიერ პრემიების აღებას აპროტესტებს.

როგორც კოალიციის განცხადებაშია ნათქვამი, პრემიების გაცემის სქემა წარმოადგენს ელიტარული კორუფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელსაც მედიასაშუალებებით სწორედ პრემიის მიმღები ოპოზიციური პარტიის წევრები საჯაროდ აპროტესტებენ.

— საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ მეორე თავის მეცამეტე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ უსასყიდლოდ. ამასთან, საინტერესოა, ოპოზიციური პარტიების წევრების მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით საკრებულოში მიღებული პრემიების რაოდენობა, — ნათქვამია განცხადებაში.

კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის სრულ მხარდაჭერას უცხადებს საკრებულოში შემავალ ოპოზიციური პარტიების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც უარი თქვეს პრემიების აღებაზე.

აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერენ: არჩევნებისა და პოლიტტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი, საზოგადოებრივი დამცველი ირინა ფუტკარაძე, „სამართალი და თავისუფლება" ხელმზღვანელი ირაკლი სესიაშვილი და „ჯანმრთელი სამყარო" წარმომადგენელი ზურაბ ფუტკარაძე.

ცნობისთვის: საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის (ოპენდატა.გე) მონაცემებით, 2010 წელს თბილისის საკრებბულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილმა პრემიის სახით, 24 760 ლარი მიიღო, დეპუტატებმა — იოსებ ეგუტიამ — 16 450 ლარი, თამაზ შოშიაშვილმა — 16 450 ლარი, ნიკოლოზ ბაჩილავამ — 16 450 ლარი, მამუკა ახვლედიანმა — 12 450 ლარი, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ზურაბ აბაშიძემ — 11 950 ლარი, ვიქტორ დოლიძემ — 9 870 ლარი, დავით საგანელიძემ — 9 870 ლარი, ჯაბა სამუშიამ — 11 950 ლარი, ინგა გრიგოლიამ — 9 870 ლარი, ხოლო კობა დავითაშვილმა — 7 050 ლარი.

მედიანიუსი

# დეპუტატი არჩილ გეგენავა კვების პროდუქტების მონოპოლისტია!

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ თინა ხიდაშელთან

***— ქალბატონო თინა, საკმაოდ ხშირად კეთდება ოპოზიციური პარტიებისგან განცხადებები, რომ ქვეყანაში რევოლუციის სუნი ტრიალებსო, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, იგრძნობა ქვეყანაში რევოლუციური განწყობა?***

— იცით, ეს ისეთი ტიპის კითხვაა, რომელიც უნდა დაუსვათ სოციოლოგებს და ფსიქოლოგებს. მე არასერიოზულად ვუყურებ პოლიტიკოსების მიერ რევოლუციების დაანონსებას. ბოლო წლებმა კიდევ კარგად დაადასტურა, რომ ასეთი დაანონსება შედეგით არ მთავრდება ხოლმე. მე გაცილებით უფრო მაინტერესებს, რეალურად რა ხდება ქვეყანაში. პრობლემები, რომელიც აწუხებს ხალხს, ამ პრობლემებზე რა პასუხები გვაქვს ჩვენ, პოლიტიკურ ძალებს. სად ვთავაზობთ ალტერნატივას და როგორ ვახერხებთ, რომ ხალხამდე მივიტანოთ მთელი სრული ინფორმაციის სპექტრი, რომელიც ჩვენ გვაქვს. ვიდრე წინასწარმეტყველება იმისა, რომ ამა და ამ რიცხვში რევოლუცია მოხდება, ან 17 კაცი გამოვა ან 17 ათასი. უბრალოდ, ძალიან არასერიოზულ ხასიათს იღებს ეს ყველაფერი.

***— საუბარია, რომ რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იქნება სააკაშვილის და ზოგადად ამ ხელისუფლების მოშორება...***

— რევოლუციის გზით რომ ადვილი იქნება, ეს ვინ დაადგინა, რომელ რევოლუციაზე ლაპარაკობენ?! მე ეს არ მაინტერესებს. თუ ვინმე რამეს გეგმავს და სერიოზულად ოღონდ და არა ისე განცხადებების დონეზე, მაშინ ხალხს უნდა უთხრას, რით იქნება ეს განსხვავებული იმ ყველაფრისგან, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ხდებოდა საქართველოში?! აი, ამის მერე შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ.

***— ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს იმ რვა პარტიასთან ერთად თქვენი პარტიაც აწარმოებდა. დღეს ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა...***

— ვინ ამბობს ამას?

***— ოპოზიციური პარტიები, ისინი, ვინც არ მონაწილეობდნენ ამ მოლაპარაკებებში...***

— უკვე გასაგებია, ხომ საუბრობენ ისინი, ვინც ამაში არ მონაწილეობდა. მათი ფუნქციაა, რომ ეს უნდა თქვან. მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა.

***— ბიომეტრიულ პასპორტებზე რომ უარი გეთქვათ?***

— ეს არის ერთი თემა ძალია ფართო სპექტრიდან პრობლემების და მე ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, ეს რვა პარტიული კოალიცია, საარჩევნო კანონმდებლობის, არის დღეს მოგებული და არის გამარჯვებულ მდგომარეობაში.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა შეექმნა სრულიად საერთაშორისო საზოგადოებასთან, რომელიც ამ პროცესს აკვირდებოდა. ხელისუფლება გაიჭედა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის, იმითი, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა შეძლეს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, ერთი დოკუმენტის შექმნა და ამ დოკუმენტის უკან ყველანი ერთად დადგნენ და ერთად თქვეს, რომ აბა, ახლა გვაინტერესებს თქვენი პასუხი. ხელისუფლებას კი პასუხი არა აქვს. ეს ისეთი რამ არის, რაც ჯერ არ მომხდარა საქართველოში. ხელისუფლება სულ ამბობდა, რომ აი, ორასი პარტია არის და ყველას სხვადასხვა აზრი აქვს და მე რომელს მოვუსმინო და რას გავყვე, როცა თავად ვერაფერზე ვერ თანხმდებიან. ეს მთავარი არგუმენტ საერთაშორისო თანამეგობრობასთან მათ მოეჭრათ და უცბად აღმოჩნდა, რომ ისინი უუნაროები არიან კონსტრუქციულ ვითარებაში და კრიზისის პირობებში გამოსავალი იპოვონ. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო რამ ხდება. უბრალოდ ამ ქვეყანაში რატომღაც არ უნდათ ამის დანახვა. განსაკუთრებით იმათ არ უნდათ ამის დანახვა, ვინც თავიდანვე, ჩემი აზრით, სრულიად არასწორად უარი თქვა ამ პროცესში მონაწილეობაზე. არა უშავს, პოლიტიკოსებს აქვთ უფლება, რომ სიტყვის თავისუფლების რეჟიმში იმაზე ილაპარაკონ, რასაც თვითონ თვლიან საჭიროდ. მთავარია საზოგადოება რა დასკვნებს გააკეთებს ამ პროცესიდან.

***— მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ ხელისუფლება საკმაოდ დამფრთხალი და შეშინებულია, რადგან დასავლეთის მხარდაჭერის იმედი აღარ აქვსო...***

— რატომ აღარა აქვთ ეს იმედი? ერთ-ერთი მიზეზი ამ რვიანის საქმიანობა ხომ არ არის შემთხვევით? იმ ადამიანებს ვეკითხები, ვინც მაგ განცხადებებს აკეთებს და იმის პარალელურად იძახის, რომ რვიანი არასწორია და არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა მომხდარიყო. ყველაზე მთავარი მიზეზი დღეს ამ ხელისუფლების დელეგიტიმაციის არის სწორედ ის, რაც რვიანის ფორმატში ხდება. იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი პროცესი,

## იგი წურბელასავით აზის ყველა ოჯახს



რომელსაც აკვირდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები. აქ ძალიან ნათლად გამოჩნდა ხელისუფლების უუნარობა და შეუძლებლობა რაიმე ტიპის სერიოზული და კონსტრუქციული ფორმატით იმუშაოს პოლიტიკურ პროცესში და პოლიტიკურ პროცესზე რაღაც პასუხები გასცეს.

***— როგორია თქვენი პოზიცია, შესაძლებელია ამ ვითარებაში არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება? დღეს ბევრს საუბრობენ, რომ უნდა გადადგეს ხელისუფლება და შემდეგ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები...***

— 2007 წლიდან მოყოლებული ამაზე ვლაპარაკობთ ყველა ერთად, მაგრამ ეს ხელისუფლება არსად არ მიდის. შეიძლება, რომ დაუსრულებლად ასე ვილაპარაკოთ? რომ უნდა გადადგეს ხელისუფლება. არ მიდის, თავისით არ მიდის და არც წავა. პროცესი უნდა იყოს სწორად დაგეგმილი, რომელიც მიგვიყვანს იქამდე, რომ ხელისუფლებას მოუწევს წასვლა და მოუწევს ძალაუფლების დათმობა. ამ ქვეყა-



ნაში ახალი ხელისუფლება აუცილებლად არჩევნებით უნდა მოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მუდმივად ვიქნებით აი, იმ ჩაკეტილ წრეში, რომელშიც 20 წელია ვტრიალებთ. მე ვფიქრობ, რომ ძალიან ადვილია ამის გაცნობიერება, უკვე 20 წელი გავიდა დამოუკიდებლობიდან და ყველაფერი ვნახეთ, რაც კი შეიძლებოდა ერთ პატარა ქვეყანას საკუთარ თავზე გამოევლო. მე პირადად ვფიქრობ, რომ საქართველოში მოსახლეობას პოლიტიკურმა სპექტრმა პატივი უნდა სცეს და უფლება უნდა მისცეს, რომ ერთხელ მაინც გააკეთოს არჩევანი ნორმალური ცივილიზებული ფორმით. თუ ამ უფლებას წაართმევს მას ხელისუფლება, მაშინ პროცესი სრულიად სხვაგვარი იქნება. ოპოზიციას არავინ არ მისცა იმის უფლება, რომ ეს უფლება წაართვას ხალხს.

***— ქალბატონო თინა, მოდით, სოციალურ ფონსაც შევეხოთ, დამეთანხმებით, რომ ფონი უმძიმესია, ფასები კატასტროფულად მატულობს, თქვენი აზრით, ეს ხომ არ გახდება ხალხის ქუჩაში გამოყვანის მიზეზი?***

— ეს არის ყველაზე მთავარი სინამდვილეში და მთავარი შეკითხვა, რომელსაც ქვეყანაში, სამწუხაროდ, გაურბის პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამარშრუტო ტაქსების გაფიცვა იყო ყველაზე კარგი რამ, რაც ამ ქვეყანას შეიძლება დაემართოს სინამდვილეში. იმიტომ, რომ ადამიანებმა ძალიან კონკრეტული მოთხოვნით, ძალიან კონკრეტული პრობლემების გამო, საკუთარი ღირსების დასაცავად, საკუთარი ცხოვრების დასაცავად, იმიტომ, რომ ამითი არჩენენ ეს ადამიანები ოჯახებს, გამოვიდნენ ქუჩაში და ხელისუფლებას უთხრეს, რომ არ მოვითმენთ! მეც დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში ეს პროცესი გაგრძელდება და ბევრი სოციალური ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო სწორედ ამ ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებებით გაღარიბდა, საკუთარი ღირსების დასაცავად ხელისუფლებას პასუხს მოსთხოვს და ეს იქნება სწორი, ეს იქნება იმის გარანტია, რომ მომავალ არჩევნებზე იგივე ამბები არ მოხდება, რაც მუდმივად ხდებოდა ამ ქვეყანაში. ეს არის ყველაზე მთავარი, რითიც ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ დაკავებულნი. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ქართულ მედიას პოლიტიკური ჭორაობა და პოლიტიკოსების მიერ სოციოლოგებივით გაკეთებული განცხადებები უფრო აინტერესებს, მაგალითად, ვიდრე ის, რასაც რესპუბლიკელები ბოლო რამდენიმე თვეა ვაკეთებთ და არ აინტერესებს ქართულ მედიას ხალხს უთხრას ის, რასაც საზოგადოება იმსახურებს, რომ იცოდეს. უნდა იცოდეს მან, რატომ არის ის ღარიბი, რატომ არის სოციალურად ასეთ მძიმე მდგომარეობაში. ამაზე ვსაუბრობთ ჩვენ უკვე რამდენიმე კვირაა და ქართული მედიის ვერც ფურცლებზე და ვერც ეკრანებზე ეს ამბავი ვერ ხვდება. მე, მაგალითად, გუშინ მთელი დღის განმავლობაში დოკუმენტებს ვარიგებდი, ინტერვიუებს ვიძლეოდი, იმისთვის, რომ ხალხმა იცოდეს, რომ მას პროდუქტში იმაზე ძვირის გადახდა ყოველდღიურად იმიტომ უწევს, ვიდრე სხვა დანარჩენ ადამიანებს მთელ მსოფლიოში, რომ მთელი ამ ბიზნესის უკან დგას სახელისუფლებო გუნდი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონი არჩილ გეგენავა, საკვები პროდუქტების მთავარი დისტრიბუტორ ქვეყანაში, რომელიც არის მონოპოლისტი და რომელიც როგორც უნდა, ისე ადგენს ფასს და როგორც უნდა, ისე თამაშობს ყოველი ადამიანის და ყოველი ოჯახის გაჭირვებით და უბედურებით. ეს არ აინტერესებს ქართულ მედიას და ჭორაობა პოლიტიკაზე აინტერესებთ. ეს არის მთელი პრობლემა, ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე და როდესაც ინფორმირებულები იქნებიან ადამიანები, როდესაც ზუსტად ეცოდინებათ მიზეზები იმისი, თუ რატომ ღარიბდებიან, რატომ სჭირთ ყველა ის უბედურება, რომელიც სჭირთ, მაშინ არასოდეს აღარ მოხდება ის ამბები, რაც ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა მაგალითად საქართველოში.

***— თქვენ აცხადებთ, რომ საქართველოში ფასებს პროდუქტებზე სახელისუფლებო ჯგუფი განსაზღვრავს?***

— მე ამას ვადასტურებ დოკუმენტებით და აცხადებს გიგი უგულავა, როდესაც ამბობს, რომ ყოველ ორშაბათს მაგიდაზე უნდა მედოს რომელიღაცა კვების პროდუქტების ჯიხურის ფასები და ამას პირადად გავაკონტროლებო. მაშინ მან პრინციპში აღიარებითი ჩვენება მოგვცა მთელ ქვეყანას. მე ჩავთვალე საჭიროდ, დამედასტურებინა, რომ ის სიმართლეს ამბობდა. მართლაც ის აკონტროლებს და მართლაც ხელისუფლება ადგენს ფასებს საქართველოში პროდუქტზე.

***— ამჯერად „ნუგეშის“ ჯიხურებზე საუბრობთ?***

— დიახ, „ნუგეშის“ ჯიხურებზე ამ შემთხვევაში, მაგრამ ის არ არის ერთადერთი, სამწუხაროდ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის ბატონ არჩილ გეგენავას ბიზნესი, რომელიც წურბელასავით აზის ყველა ქართულ ოჯახს და იღებს მილიონებს ჩვენგან სრულიად უსამართლოდ დემპინგური ფასებით, მონოპოლისტური ფასებით, რომელიც საკვებ პროდუქტებზეა დადგენილი.

***— ჩვენ მძღოლების შესახებ ვსაუბრობდით, ისინი სამდღიანი აქციის შემდეგ დაიშალნენ. ხელისუფლება დაჰპირდა მათ, რომ არ გაუზრდის გადასახადს. მოტყუებულები ხომ არ დარჩებიან ეს მძღოლები?***

— ამ წუთას ეს გააკეთა ხელისუფლებამ, ის იძულებული აღმოჩნდა და უცბად წავიდა დათმობაზე, როგორც ყველამ ვნახეთ, იმდილითვე შეცვალა ჩვენება და ახალი პირობები შესთავაზა მძღოლებს, მაგრამ სამწუხაროდ, მე ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში მძღოლებს, თუ ვითარება არ შეიცვალა ქვეყანაში, ისინი უბრალოდ არ აპატიებენ და დასჯიან ამისთვის უკვე შემდეგ ოქტომბერში, როდესაც ახალი კომპანია დაიწყებს ოპელირებას. ამ წუთას, როგორც ჩანს, ოქტომბრამდე შეთანხმება აღარ შეიცვლება და ამ ადამიანებს სამსახური ექნებათ დ ამ ხარკს აღარ დაადებდნენ, რომელსაც სთხოვდნენ.

***— ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ ერთდღიანმა გაფიცვამ შედეგი გამოიღო...***

— აბსოლუტურად. ყველა ასეთი გაფიცვა გამოიღებს შედეგს, თუ ის იქნება კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული და იქნება კონკრეტული სოციალური ჯგუფების პრობლემებით დასაბუთებული, იმიტომ ეს ასე ხდება, როგორც წესი. აქ ნაცვლად ჯდება, რომ ხელისუფლებას აქვს პრობლემა და ამ პრობლემას მას საზოგადოება უქმნის. თუ პოლიტიკური სპექტრი მხოლოდ იმას ილაპარაკებს — მიშა, წადი და მეტს არაფერს, მაშინ მიშა უფრო დიდხანს იქნება, ვიდრე მას წარმოუდგენია, რომ იყოს.

***— ამ სოციალურ ჯგუფებში ალბათ სოლიდარობაა აუცილებელი...***

— აბსოლუტურად და ეს სოლიდარობა აუცილებლად შედგება, თუკი პოლიტიკური სპექტრი სწორად მოიქცევა და საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნების ადეკვატური გახდება და არა რაღაცა აკვიატებული აზრების.

***— ეს არის ერთ-ერთი ეფექტური გზა ხელისუფლებასთან საბრძოლველად?***

— მე ვიტყოდი, ერთადერთი ეფექტური გზა არის.

## „არა!“-მ გორში საპროტესტო აქციები გამართა



საზოგადოებრივმა მოძრაობა „არა!“-მ გორის გამგეობის, საკრებულოს და საპატრულო პოლიციის შენობებთან საპროტესტო აქციები გამართა.

როგორც „არა!“-ს ლიდერმა ლევან ჩიტაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, მოძრაობის წევრები სოლიდარობას უცხადებენ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ჯონი ნანეტაშვილს, რომელსაც, ჩიტაძის თქმით, სამართალდამცველებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

— გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოიძიონ ნანეტაშვილის ცემის ფაქტი. ასევე შეწყდეს გორში ჟურნალისტებზე ზეწოლა და მიეცეთ მათ ნორმალურად მუშაობის საშუალება. საჯარო ინფორმაციაზე ყველა ჟურნალისტს ხელი უნდა მიუწვდებოდეს, გორში კი ასე არ ხდება„, — განაცხადა ჩიტაძემ და დასძინა, რომ გორში „არა!“-ს წევრები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა უკანონოდ დააჯარიმეს და დედაქალაქში დაბრუნება ურჩიეს.

— ჩვენ საგზაო წესები არ დაგვირღვევია, თუმცა პატრულმა მაინც დაგვაჯარიმა და გვირჩია, გორში არასდროს ცავსულიყავით, — აღნიშნა ჩიტაძემ.

მისი თქმით, საზოგადოებრივი მოძრაობები თბილისში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან მჯდომარე აქციებს ორშაბათიდან განაახლებენ.

**მედიანიუსი**

## ჟენევის მოლაპარაკებების ეს რაუნდი საკმაოდ რთული იქნება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას განცხადებით, ჟენევის დისკუსიების მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი საკმაოდ რთული იქნება, რადგან ქართული მხარე რუსეთისგან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებას მოითხოვს.

— რაც შეეხება ქართულ მხარეს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია დიდი ხანია ცნობილია. შეხვედრაზე საკმაოდ აქტუალურ და პრინციპულ საკითხებს დავსვამთ. ვნახოთ, რა იქნება შედეგი, — განცხადა ჟენევაში გამგზავრების წინ გიორგი ბარამიამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელაგაცია, რომელსაც უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს ჟენევაში გუშინ დილით გაემგზავრა. საერთაშორისო მოლაპარაკებები ხვალ გაიმართება.

**მედიანიუსი**

# „ვალუტჩიკები“ მოსახლეობას ველარ მოატყუებენ

ნანა მიშელაშვილი

**თუ აქამდე ვალუტის გადამცვლელ ზოგიერთ პუნქტში მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავდათ ან მაღალ საკომისიოს ახდევინებდნენ, ახლა ეს საკითხი მოგვარებული იქნება.**

არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში საკომისიო მომსახურების თანხა იმდენად წვრილი შრიფტით აწერია, რომ მომხმარებელი ამას ყურადღებას არ აქცევს, რის გამოც ხშირად ზარალდება. ეს პრობლემა სულ მალე აღმოიფხვრება, რადგან ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება, ადამიანს მიაწოდოს სრული ინფორმაცია მომსახურების საკომისიო ოდენობის შესახებ, თანაც ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება, გადაცვლის კურსი და მომსახურების საკომისიოს შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას.




დეპუტატებმა ანდრო ალავიძემ და მიხეილ ცქიტიშვილმა უკვე შეიმუშავეს ახალი კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა უფლებების დაცვა მოხდება.

კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის ანდრო ალავიძის განცხადებით, არაერთი ოჯახია, რომელსაც საზღვარგარეთ ახლობლები ჰყავს და უცხოურ ვალუტას უგზავნიან, რომლის დახურდავებაც უწევთ. ამ გადახურდავების დროს დამადასტურებელი დოკუმენტი ჩეკის სახით აქამდე არ გაიცემოდა. ცოტა ხანში კი ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება, გასცეს ვალუტის გადაცვლის განხორციელების დამადასტურებელი ჩეკი, რომელშიც მითითებული იქნება გადაცვლილი ვალუტის ოდენობა, გადაცვლის კურსი და მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანდრო ალავიძე განმარტავს, რომ ხშირად ისეთი შემთხვევებიც ხდებოდა, როდესაც ვალუტის გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელი არასწორად უანგარიშებდა თანხას, რის გამოც ადამიანები ზარალდებოდნენ.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევა, რომელშიც განმარტებულია თითოეული მომხმარებლის უფლებები ვალუტის გაცვლის დროს. კერძოდ, ფიზიკური პირი, რომელმაც განახორციელა ვალუტის გადამცვლელ პუნქტში ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, ამ ოპერაციის განხორციელებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ოპერაციის გაუქმება და გაცვლილი ვალუტის უკან დაბრუნება.

ანდრო ალავიძის განმარტებით, თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, ნახევარი საათის მანძილზე მივიდეს და ვალუტის გადამცვლელი პენქტისგან მოითხოვოს გაცვლილი ვალუტის უკან დაბრუნება. ამ დროს ხდება ჩეკის წარდგენა, ოპერაციის გაუქმება და ვალუტის უკან დაბრუნება.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უარს ამბობს გაცვლილი ვალუტის უკან დაბრუნებაზე? ანდრო ალავიძე განმარტავს, რომ თუ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელი უარს ამბობს ვალუტის დაბრუნებაზე, არსებობს მექანიზმი, რომ ადამიანმა გამოიძახოს პატრული და ოქმში დაფიქსირდეს, როდის მოითხოვა გაცვლილი ვალუტის უკან დაბრუნება.

რაც შეეხება საკომისიო ოდენობას, ანდრო ალავიძე განმარტავს, რომ ვალუტის გადამცვლელ პუნქტს ვალდებულება ექნება, არა მარტო თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრას საკომისიოს გადახდის ღირებულება, არამედ, სიტყვიერადაც გააფრთხილოს მომხმარებელი, თუ რამდენი დაერიცხება საკომისიო და რამდენი თანხა დააკლდება დახურდავებული ოპერაციიდან.

— იმის გამო, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, გაცვლის ოპერაცია გააუქმოს, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ინტერესებში შედის, გააფრთხილონ მომხმარებელი საკომისიოს შესახებ. მათ ინტერესი აღარ ექნებათ, თაღლითურად რვა ან მეტი პროცენტი ჩადონ და შემდეგ მომხმარებელს უთხრან, არა გაქვთ უფლება, ოპერაცია გააუქმოთო. შესაბამისად, დარეგულირდება ეს საკითხი, — აღნიშნა ანდრო ალავიძემ.

დეპუტატი ამბობს, რომ არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი მიეძღვნა ამ საკითხს და საზოგადოება აქტიურად აპროტესტებდა იმას, რასაც ვალუტის ზოგიერთი გადამცვლელი პუნქტი აკეთებდა. ანდრო ალავიძის თქმით, არაერთი ადამიანი ყვება, რომ მას ან მის ახლობელს ვალუტის გადახურდავების დროს რა ისტორია შეემთხვა და როგორ შეილახა მათი უფლებები.

— ვფიქრობ, ახალი ცვლილებები საშუალებას მისცემს მომხმარებელს, მათი უფლებები მაქსიმალურად იქნეს დაცული, — აღნიშნა ანდრო ალავიძემ.

ამ ცვლილებებს მხარი უკვე დაუჭირა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა. დეპუტატების განწყობით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ცვლილებების მიღებას პარლამენტში პრობლემები არ შეექმნება.

ამის შემდეგ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი, რომელიც მოსახლეობას ატყუებდა და ყვლეფდა, ამას ველარ შეძლებს. მომხმარებელს საკუთარი უფლებების დაცვა ახალი კანონპროექტის მიღებისთანავე შეეძლება.

# რევოლუცია ხელისუფლებას აწყობს

**ყოფილი დეპუტატი, ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პროცესების რევოლუციურ განვითარებას არ გამორიცხავს, თუმცა, აცხადებს, რომ ხელისუფლების მიმართ მოთხოვნა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება უნდა იყოს. ნიკოლაიშვილი არც ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავს. მისი თქმით, შეიძლება სააკაშვილმა იქამდე არ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, სანამ მცირე ფინანსებით შეძლებს მოსახლეობის 80%-ის მართვას, რომელიც უკიდურესად გაჭირდებული და დათრგუნულია.**



შორენა კოწოწაშვილი

ნიკოლაიშვილი ოპოზიციის კოორდინირებულად მოქმედების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და არ გამორიცხავს, რომ ბოკერიამ და ალასანიამ ერთობლივად იმოქმედონ სააკაშვილის რეჟიმის ჩასანაცვლებლად.

გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გელა ნიკოლაიშვილთან:**

***— ბატონო გელა, მდორე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ამ ცოტა ხნის წინ სამოქალაქო სექტორი გამოვიდა ინიციატივით, რომ ოპოზიციურმა ძლებმა და სამოქალაქო სექტორმა კოორდინირებულად იმოქმედონ. რა პოზიცია გამოკვეთეს ოპოზიციურმა ძალებმა ამ ინიციატივასთან დაკავშირებით?***

— არასამთავრობო ორგანიზაციებ-ის მხრიდან ეს აბსოლუტურად სწორი შეთავაზება იყო. ზოგადად უწევენ თუ არა ანგარიშს სამოქალაქო სექტორს ოპოზიციური ძალები, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველას ინტერესში შედის იმ პოზიციის გაზიარება, რასაც სამოქალაქო სექტორი წინა პლანზე წამოწევს. ეს არის ის პოზიცია, რომელიც, ჩვენი აზრით, სჭირდება ქვეყანას და თვითონ პოლიტიკოსებს. როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკური სპექტრი გაყოფილია ორ ნაწილად. ერთნი ამბობენ, რომ მხოლოდ არჩევნების გზით უნდა წავიდეთ, მეორენი ამბობენ — მხოლოდ რევოლუციის გზით უნდა წავიდეთო. ეს ორი მიმართულება ერთმანეთის პარალელურად მიდის, ოღონდ განცალკევებულად და ხშირად უპირისპირდება ერთმანეთს. ჩვენი პოზიცია ასეთია: ერთი პოზიციაც და მეორეც სავსებით სწორი და თავსებადია. ოღონდ რა შემთხვევაში: როდესაც წინასწარ ამბობს პარტია, ან პარტიათა ჯგუფი, რომ მე ყველა შემთხვევაში მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, შეიცვლება თუ არა საარჩევნო გარემო, ეს არის აბსოლუტურად კაპიტულანტური პოზიცია. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება არაფერს კარგავს. როდესაც მეორე ჯგუფი ამბობს, რომ მე არჩევნები არ მინდა და მხოლოდ რევოლუცია მინდა, ესეც არ არის სწორი. იმიტომ, რომ ყველა რევოლუცია, ხავერდოვანი იქნება ის თუ არა, არის უკიდურესი ზომა. საარჩევნო გარემო აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამ მოთხოვნას უკან უნდა ედგას ძალა, რათა ხელისუფლებამ დაინახოს, რომ თუ ეს ამას არ გააკეთებს, მიიღებს რევოლუციას. ხელისუფლებას ამის შიში თუ არ ექნება, ის არანაირ დათმობაზე არ წავა. გახსოვთ, 2007-08 წლებში როგორი დამთმობი გახდა ხელისუფლება, თანამდებობებსაც კი თმობდა და მინისტრს მოადგილეების პოზიციებს ოპოზიციას სთავაზობდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ოპოზიციაში ძალას ხედავდა. ჩვენ ვამბობთ, ორივე ეს ოპოზიცია თავსებადია, მაგრამ ორივეს უკან ძალა უნდა იდგეს.

***— ქართული პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი რევოლუციური გზით მიდიან. არის ამის რესურსი?***

— გუშინ წავიკითხე ეროსი კიწმარიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ უნდა იყოს მოთხოვნა. ჩვენ ერთ-ორ თვეს კიდევ დავაცდით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით. მათ იმედი არ აქვთ, რომ ხელისუფლება ამაზე წავა და ამიტომ ამბობენ, რომ რევოლუციის გზით ვივლითო. აპრიორი, რომ ჩვენ აუცილებლად რევოლუციის გზით მივიდივართ, მე მათგანაც არ მსმენია. საბოლოო ჯამში, ამ ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე, ალბათ რევოლუციური სცენარი ახლოსაა, რადგან ყველამ იცის, რომ ეს ხელისუფლება დათმობაზე წამსვლელი არ არის. ობიექტური საარცევნო გარემოს შექმნა მათ დამარცხებას ნიშნავს. მათი დამარცხება კი მათ ციხეში წასვლას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის გუნდი კბილებით დაიცავს მისთვის მისაღებ საარჩევნო გარემოს. თუმცა, ოპოზიციის მოთხოვნა მაინც უნდა იყოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. თუ ხელისუფლება ამაზე არ წავა, მაშინ ის მიიღებს რევოლუციას. რაც შეეხება იმას, არის თუ არა საზოგადოება რევოლუციისთვის მზად, დღეს შეიძლება ეს მზადყოფნა არ იყოს, მაგრამ არავინ იცის, რა წუთში აივსება მოთმინების ფიალა. არავინ არ ელოდა ერთი კვირის წინ, რომ ასეთი პროცესები დაიწყებოდა ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში და ა. შ. მოთმინების ფიალა რომ ქვეყანაში სავსეა, ეს სააკაშვილმაც კარგად იცის, მაგრამ რა აღმოჩნდება უკანასკნელი წვეთი, ჯერ არ ვიცით. ასე რომ, რევოლუციური სიტუაცია გარეგნულად არ არის, მაგრამ შიგნით არის დაგროვილი იმდენი აგრესია ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ შეიძლება მეორეხარისხოვანი ნაპერწკალიც კი საკმარისი აღმოჩნდეს რევოლუციური პროცესისთვის.

***— ოპოზიიცის წარმომადგენლები ხშირად მიანიშნებენ შიდა სახელისუფლებო განხეთქილებაზე. კითხვის ნიშნები გააჩინა ბოკერია-ალასანიას შეხვედრამ. შეიძლება ეს ორი ლიდერი კოორდინირებულ მოქმედებაზე საუბრობდეს?***

— ღმერთმა იცის, რა პროცესები მიმდინარეობას ხელისუფლების შიგნით. ამაზე მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება ლაპარაკი. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ბოკერიას გუნდი ყველაზე უფრო საღად უყურებს შექმნილ ვითარებას. ეს გუნდი არის უფრო რეალისტი ადამიანებით დაკომპლექტებული. ვფიქრობ, ბოკერიას გუნდი საღად უნდა აფასებდეს იმას, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა წამგებიანია არა მხოლოდ ქვეყნისთვის, არამედ თვითონ მათივე გუნდისთვის. ამიტომ ისინი ყველანაირად შეეცდებიან შეინარჩუნონ რეჟიმი სააკაშვილის გარეშე. ეს კი ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი არ იქნება. სააკაშვილისთვის მთავარია, რეჟიმი არ იქნეს შენარჩუნებული და ხელისუფლება იყოს გადანაწილებული. აუცილებლად უნდა შეიქმნას ობიექტური საარჩევნო გარემო. ხელისუფლებამ იცის, რომ ობიექტური არჩევნების შემთხვევაში ის ვერ გაიმარჯვებს, ამიტომ ყველანაირად ეცდებიან, გარემო არ შეცვალონ. როგორც ჩანს, ფიქრობენ ხელმწიფის კარზე გადატრიალების მოწყობას, ოპოზიციური ჯგუფის გამოყოფას. თუმცა, მიხეილ სააკაშვილი თავისი ბუნებიდან გამომდინარე ისეთია, რომ ადვილად არ დათმობს ხელისუფლებას. ხელისუფლების შიგნით დაპირისპირება ვფიქრობ კიდევ უფრო მწვავე იქნება, ვიდრე ოპოზოციასა და ხელისუფლებას შორის, თუმცა, ეს ჯერ არ ჩანს.

***— გამორიცხავთ, რომ ბოკერია ოპოზიციურ ფლანგზე ალასანიასთან შეხვედრებით გარკვეულწილად ნიადაგს სინჯავდეს?***

— მე არა მგონია.

***— ერთერთი პოლიტიკოსი ფაქტობრივად დარწმუნებულია, რომ ალასანია თუ ვინმესთან დადგება გვერდით, ეს სწორედ გიგა ბოკერიაა, რადგანაც ორივეს დასავლეთის მხარდაჭერა აქვთ.***

— მე ამას არ გამოვრიცხავ, გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში თუ ვინმეს აქვს დასავლეთში კარგი კონტაქტები და კეთილგანწყობა მათი, ეს არის ბოკერიას ჯგუფი. ოპოზიციაში კი დასავლეთის კეთილგანწყობა სწორედ ალასანიას აქვს. ასე რომ, აქ გამორიცხული არაფერია. რამდენად მოახერხებს ბოკერიას ჯგუფი დისტანცირებას ხელისუფლებიდან, ეს ძნელად წარმოსადგენია იმიტომ, რომ თუ რამე ფუჭდება დღეს, ეს მხოლოდ მიშა სააკაშვილს არ მიეწერება. ამ ყველაფერს აკეთებს ჯგუფი, რომელშიც გაიგივებულია მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია და თავისუფლების ინსტიტუტი. შეიძლება ალასანიას და ბოკერიას გარკვეულწილად ასეთი მცდელობაც ჰქონდეთ, მაგრამ როგორ მოახერხებენ ერთობლივ მოქმედებებს, არ ვიცი.

# ლეიბორისტები წყლის დავალიანების ჩამოწერას ითხოვენ

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების მხრიდან წყლის გადასახადის ხელახლა ამოღებაზე საუბრობს და იმ პოლტიკას აპროტესტებს, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით ახორციელებს.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა „ჯორჯიან ენდ უოთერ ფაუერის“ მთავარ ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის ორგანიზატორებმა დედაქალაქის ხელისუფლებისგან წყლის დავალიანების ჩამოწერა და ტარიფის შემცირება მოითხოვეს.

როგორც აქციაზე პარტიის ერთერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, წყლის გადასახადის დავალიანება, რომლის ამოღებასაც „ჯორჯიან უოთერ



ენდ პაუერი“ ცდილობს, თბილისის მოსახლეობას უკვე გადახდილი აქვს. ჯიბლაძის თქმით, ამ დავალიანების დასაფარად 2006 წელს თბილისის ბიუჯეტიდან გამოუყო 15 მილიონი ლარი, თუმცა, ეს თანხა საბოლოოდ კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა მიითვისეს. დღეს კი სააკაშვილის ხელისუფლება ამ თანხის ხელახლა ამოღებას ცდილობს.

მშრომელთა პარტიაში მიაჩნიათ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტიდან სათანადო თანხები უნდა იქნეს გამოყოფილი წყლის დავალიანების დასაფარად, ამასთან, უნდა შემცირდეს წყლის ტარიფი, რადგან გაზრდილი გადასახადების ფონზე სოციალურად მძიმე პირობებში მოსახლეობისთვის საკმაოდ ძნელია წყლის ამხელა გადასახადის გადახდა.

დედაქალაქის წყლის კომპანიის მთავარ ოფისთან შეკრებილი ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საპროტესტო აქციებს მანამ არ შეწყვეტენ, სანამ მათი კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება.

# „რევოლუცია ან აგვაშენებს, ან საბოლოოდ დაგვანგრევს“

გერა მამულაშვილი

**ეგვიპტე-ტუნისში დაწყებული ამბოხება მთელ არაბულ სამყაროს მოედო. დიქტატორ კადაფის ლიბია სამოქალაქო ომში ჩაეფლო. საპროტესტო გამოსვლები დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში გავრცელდა.**

ჩრდილოეთ აფრიკაში დაწყებული პროცესები სამხრეთ კავკასიასაც მოსწვდა. სომხეთის დედაქალაქში წლების შემდეგ პირველი მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც სარგსიანის ხელისუფლებას კონკრეტული ულტიმატუმები წაუყენეს. 15 მარტამდე თუ ისინი არ შესრულდება, სომხური ოპოზიცია გაჩერებას არ აპირებს და ხელისუფლებას ახალი „სიურპრიზებით“ ემუქრება.

აზერბაიჯანში ოპოზიცია მასობრივი აქციებისთვის მზადების პროცესშია. წამყვანი პოლიტიკური ძალები საპროტესტო გამოსვლებისთვის თარიღებს ათანხმებენ. ამ ფონზე პრეზიდენტი ალიევი რესპუბლიკაში დემოკრატიზაციის გაღრმავებას ცდილობს, რათა მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა უზრუნველყოს. რა შედეგს გამოიტანს ეს მცდელობა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოშიც მეტად გახშირდა საუბრები „ეგვიპტურ სცენაზე“. ოპოზიციის ერთი ნაწილი გარდაუვალ რევოლუციაზე და ამ გზით სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაზე ალაპარაკდა. ხოლო მეორე, უფრო ზომიერი ნაწილი არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლების შეცვლას. ორივე ოპოზიციური ფრონტი აცხადებს, რომ დღევანდელი მმართველობა უნდა შეიცვალოს და ქვეყანა შეუქცევადი დემოკრატიული განვითარების გზას უნდა დაადგეს.

რევოლუციური გზის ავანგარდში ქართული პარტია და ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა დგანან. ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა მხოლოდ დემოკრატიული რევოლუციის გზით მოხდება. იმავე სცენარის ერთგულია ქართული პრარტია, რომლის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ მოქმედი ხელისუფლება მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა „დასრულდეს“.

ქართული პარტია ხელისუფლების ერთ ნაწილს თანამშრომლობასაც კი სთავაზობს. კერძოდ ლევან გაჩეჩილაძემ დავით ბაქრაძეს მოუწოდა თავისი მომხრეებიანად გადავიდეს ოპოზიციის მხარეს. როგორც ჩანს ეს ერთგვარი პასუხია ბაქრაძის შეთავაზებაზე, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს.

ალასანიას თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები, მემარჯვენეები საარჩევნო გზის ერთგულები არიან. მათი თქმით, რევოლუციური შეკრული წრე ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს და ქვეყანა საარჩევნო დემოკრატიის გზით უნდა განვითარდეს. რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობას, მათ ამაში ეჭვი არ ეპარებათ და მზად არიან ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულონ.

— ტყვია მიზანში მოვახვედროთ, ყველა სხვა გზა ფუჭი გასროლა იქნება, — აცხადებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია და რევოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლას დაუშვებლად მიიჩნევს.

მისი თქმით, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა უალტერნატივოა. — ქვეყანაში სერიოზული რეფორმების პროცესი დავიწყეთ, რათა მშვიდობიანი გზით მოხდეს ხელისუფლების შეცვლა. მთავარია, ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული საპროტესტო ენერგიის გაერთიანება, — აცხადებს ალასანია.

ამასთან თავისუფალი დემოკრატების ლიდერი აცხადებს, რომ მილიონ 800 ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, რაც ხელისუფლების შვიდწლიანი მმართველობის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

პოლიტიკოსთა ზრახვებს პოლიტოლოგები აფასებენ. პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ქართული პარტიის ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის ახალი რევოლუციისთვის სამზადისი „არადამაჯერებლად“ მიაჩნია.

— როცა სამჯერ წამოიწყებ რევოლუციას და შედეგს ვერცერთხელ მიიღებ, იქ ბუნებრივია მეოთხედაც ვერაფერს გახდები. თუ რაიმე არ შეიცვალა, ან ტაქტიკა ან ხალხის განწყობა... რევოლუციები მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გსურს, არ მოხდება. ასე რომ რევოლუციისთვის იგივე გუნდის სამზადისი, რომელმაც ის სამჯერ უშედეგოდ წამოიწყო, არადამაჯერებელია, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას.

რაც შეეხება გაჩეჩილაძის ვარაუდს, რომ საქართველოში ხელისუფლება სწორედ ეგვიპტური რევოლუციის სცენარით შესაძლოა შეიცვალოს, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ერთი და იგივე სცენარი ყველა ქვეყნის მაგალითზე ერთნაირი შედეგით არ მთავრდება.

ერთი და იგივე სცენარი ყოველთვის ერთნაირად პროდუქტიული არ არის. ეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც დაინახა, როცა რამდენიმე ქვეყანაში ერთი სცენარით სცადა პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა. თუმცა ეს მცდელობა არ გამოუვიდა, — აცხადებს საყვარელიძე.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის აზრით, გათითოკაცებული ოპოზიციის პირობებში ქვეყანაში რევოლუციის მოხდენა შეუძლებელია. მისივე თქმით, ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც რევოლუციას აანონსებს, მინიმუმ რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან მაინც საერთო აზრის ჩამოყალიბებაზე უნდა იფიქროს.

— არ მახსენდება, რომ არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების დროს რევოლუცია დაანონსებული ჰქონოდათ. რევოლუცია ის მოვლენაა, რომლის საფუძველს ხელისუფლება ქმნის, საბაბს კი ხალხი პოულობს. ვერცერთი ცალკე აღებული პოლიტიკური ძალა ასეთ საბაბს ვერ შექმნის.

ეჭვი მეპარება, გათითოკაცებულ ქართულ ოპოზიციაში რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალის მიერ გამოცხადებული რევოლუცია შედგეს. საკუთარ თავში ტოლერანტობის ჯერ ის მუხტი მონახონ, რომელიც რამდენიმე ოპოზიციურ ძალას მაინც საერთო ხედვას გამოამუშავებინებს. მერე შეიძლება ვირწმუნოთ, რომ საქართველოში ასეთი შესაძლებლობა არსებობს, — ამბობს პოლიტოლოგი.

ამასთან ცისკარიშვილის აზრით, საქართველოში თუ რევოლუცია მოხდება, საქართველო ან აშენდება, ან საბოლოოდ დაინგრევა. ამდენად ნებისმიერი ქმედების, მათ შორის რევოლუციის უპირველესი საფუძველი გონიერება უნდა იყოს.


**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.**
**ტელ: 897-29-27-50.**


# რატომ არის დევნილების გამოსახლება გამართლებული?

გულიკო ბალა ე



**წლევანდელ ცივ ზამთარში, სააკაშვილის „თავისუფლების ლაბორატორიაში“, ანუ საქართველოში (ასე საქართველოს უცხოეთში გამოქვეყნებულ შეკვეთილ წერილებში მოიხსენიებენ „თავისუფლებისმოყვარე“ და ფსევდოლიბერალი ხელისუფლების წყალობით თბილისში არსებული ჩასახლების ობიექტებიდან მრავალი დევნილი აღმოჩნდა ქუჩაში, მრავალი კიდევ ახალ ციმბირში — ფოცხოში გადაასახლეს.**

სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას ეს პოლიტიკა გაამართლა. ასეთი ტიპის ხელისუფლება სხვაგვარად ვერც იმოქმედებს, მაგრამ სიტყვიერად, პიარისტული მეთოდების გამოყენებით, ხალხს გონებაში უნერგავენ, თითქოს ისაა თავისუფლება, რაც დღეს სააკაშვილის საქართველოში ხდება. ამიტომ საწუწუნოც „არაფერი გვაქვს“ და ხელისუფლებას მუბარაქის ბედიც არ ელოდება.

დევნილთა ნაწილის ქუჩაში გამოყრის პარალელურად, საპიაროდ ყოველდღე აჩვენებენ, დევნილთა ნაწილს როგორ ურიგებენ საკუთრების მოწმობებს და მადლობებს ახდევინებენ.

თუმცა, საკუთრების მოწმობებს ისეთ დევნილებს აძლევენ, რომლებიც პრესტიჟულ ადგილებში არ არიან ჩასახლებულნი.

ის დევნილები კი, რომლებიც, ვითარების გამო, პრესტიჟულ ადგილებში აღმოჩნდნენ ჩასახლებულნი, ხელისუფლების სამიზნე შეიქნენ. მათ ფოცხოში ასახლებენ. სხვა ადგილებს მათთვის ვერ იმეტებენ.

ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ პრესტიჟულ ადგილებზე „დაწინაურებული“ ხალხი, სახელისუფლებო ელიტა უნდა ცხოვრობდეს (ანუ თვითონ), სხვების ადგილი, მით უმეტეს, დევნილების, იქ არ არის.

არადა, საინტერესოა, რატომ ჩქარობდა ხელისუფლება მაინცდამაინც ზამთარში დევნილების ქუჩაში გამოყრას? შეესწავლა ვითარება და, თუ მათი გაყვანა აუცილებელი იყო, თანდათან გაეყვანათ.

არადა, ამ ზამთარში ხელისუფლება თბილისის ცენტრის დევნილებისაგან გაწმენდას ისე ჩქარობდა, როგორც ხელისუფლების მაღალი რანგის ზოგიერთი წარმომადგენელი და მათი ოჯახის წევრი ომის დროს, 7-8 აგვისტოს ქარცეცხლიან დღეებში ჩქარობდა სახელმწიფო მიწებისა და სახლების გადაფორმებას.

სხვათა შორის, ცივ ზამთარში შუა საუკუნეებშიც კი არ ყრიდნენ ადამიანებს საცხოვრებელი ადგილებიდან. ისტორიიდან ცნობილია, ქართველი მეფეები როგორ იცავდნენ თავიანთი ქვეყნის ღარიბ მოქალაქეებს, რომლებსაც ბინა არ ჰქონდათ.

მაგალითად, გერონტი ქიქოძე წერს, რომ ერეკლე მეორე კრძალავდა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, მოქალაქეთა გამოსახლებას. ზოგჯერ ის თავისი ქვეყნის მოქალაქეებს შუამავლადაც უდგებოდა, რომ ისინი სახლის პატრონებს ზამთარში არ გამოესახლებინათ.

— არის შემთხვევები, რომ მეფე ერეკლე სახლის პატრონს „შუამავლობით ეუბნება“, ზამთრის პირია, ამ დროს ბინადარს ნუ გააგდებ, „მანამდის სახლის ფიქრს იქმოდესო“, — წერს გერონტი ქიქოძე.

ამ დროს სააკაშვილის ხელისუფლება 21-ე საუკუნეში, შუა ზამთარში, მტრის მიერ ძალადობით გამოდევნილ ქართველებს ქუჩაში ერეკება ან ახალ ციმბირში ასახლებს და ამით მათ წირავს მაშინ, როცა მსგავსი ქმედებისთვის რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში უჩივის.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები თუ მინისტრები დევნილების მიმართ განხორციელებულ ასეთ ქმედებებს ამართლებენ.

პარლამენტის ყოფილი წევრი, როინ ჯანაშია, რომელიც ერთ დროს დევნილთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ, ამ პრობლემას გვერდს ვერ უვლის და დევნილების წინააღმდეგ სადამსჯელო აქციების განხორციელებისთვის ხელისუფლებას ამტყუნებს.

***— ბატონო როინ, თუ გახსოვთ, სამი წლის წინ რუსეთმა ქართველები სატვირთო თვითმფრინავით გამოუშვა საქართველოში, ასე ვთქვათ, მათი დეპორტაცია მოახდინა. ამაზე საქართველომ რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლა. საქმის განხილვა იყო და, ალბათ, მალე განაჩენიც იქნება...***

— მალე — არა, მაგრამ ერთ წელიწადში იქნება.

***— ამ ფონზე როგორ მოგეწონათ ქართველი დევნილების თბილისიდან გასახლება, მათი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოყრა და სატვირთო მანქანებით ქალაქიდან გაყრა?***

— რუსების საქციელი საშინელება იყო. ეს მთელმა მსოფლიომ ნახა. ამის დოკუმენტები საერთაშორისო სასამართლოში წაღებულია. ისინი ამ პროცესს წააგებენ.

***— ახლა რუსეთი ხომ ხედავს, აქ რა ხდება?***

— ერთი მომენტი მითხარით, რაშიც რუსების ქცევა შეიძლება გამართლებული იყოს!

***— რუსები ჩვენთან მართლები რომ არ არიან, ცხადია. ისინი ოდესმე გამიმართლებია? მაგრამ, როდესაც შენ (საქართველოს ხელისუფლება) შენს დევნილებს, საქართველოს მოქალაქეებს ისე ექცევი, როგორც ოკუპანტი, ამას რა ჰქვია? რუსეთმა თავისი ქვეყნიდან სხვა ქვეყნის მოქალაქეები გამოაძევა, მაგრამ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება შენს მოქალაქეებს იმავენაირად ექცევი, მათ საბარგო მანქანებში ყრი და არც ეუბნები, სად უნდა წავიდნენ, ეს რა არის? მე ვიცი შემთხვევები, რომ ზოგიერთისთვის ფოცხოშიც კი არ გამოუყვიათ ადგილი და პირდაპირ ქუჩაში დატოვეს. კერძოდ, საუბარია ტაშკენტის ქუჩიდან გამოყრილ დევნილებზე. ეს ხომ გაუგონარი რამ არის!***

— ამან მეც გული დამწყვიტა. საშინელი კადრები აჩვენეს, ერთი ფანჯარაც რომ არ ჰქონდა, ისეთ სატვირთო მანქანაში ჯდებოდა ბავშვი. ამის ყურება ამაზრზენია. გინდ თვითმფრინავში ჩაუსვიხარ, გინდ — უფანჯრებო სატვირთო მანქანაში. არ ვიცი, ჟურნალისტმა სად ნახა ამისთანა სიტუაცია და როგორ აჩვენა, საბარგო ავტომანქანებში ბავშვები როგორ შედიოდნენ. ასეთი პროცესი სხვაგანაც იყო და ამაზრზენია. ეს არ არის კარგი საქმე. რაც ხდებოდა, ძალიან საშინელი სანახავი იყო. მე ამას არასოდეს გავამართლებ, მაგრამ მეორე მხარეც არსებობს. მე დევნილთა კავშირის თავმჯდომარე გახლდით. აღნიშნული ორგანიზაცია დღეს არ აქტიურობს, მაგრამ ის ხალხი არსებობს. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და ეს საკითხიც განვიხილეთ. არ მინდა, დევნილებმა სხვანაირად გამიგონ. მათ შორის, ვინც გამოასახლეს, აფხაზეთიდან ცოტა ხალხი იყო, მაგრამ...

***— ზოგი კოდორიდან იყო, ზოგი — ცხინვალის რეგიონიდან...***

— მესმის, მაგრამ აქ ერთი რამ ვერ გავიგე. შექმნილი სიტუაცია დევნილთა სამინისტროს ბრალია. იქ იყო ხალხი, რომელსაც ბინები მართლა ჰქონდა. იყო ხალხი, რომელსაც ფული მართლა ჰქონდა აღებული, მაგრამ, იყო ხალხი, ვინც მართალი იყო. მათ არავითარი დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი და ბინით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილების საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებული პროცესი კარგად ვერ დააწყო, დევნილებს ვერ დაელაპარაკა, მტყუანი და მართალი ვერ გაარჩიეს და უცებ ყველა ერთად გაყარეს საცხოვრებელი ობიექტებიდან. პროცესი მოუმზადებელი იყო. გამოსახლებულ დევნილთა შორის ერთი ჩემი ნათესავიც გახლდათ. მისი ოჯახი, რომელიც გეპეის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, გაიყო.

***— დევნილები გეპეის საერთო საცხოვრებლიდანაც გამოყარეს?***

— არა. ჩემი ნათესავი იქ თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ბიჭმა ცოლი მოიყვანა და ოჯახი გაიყო. უთხრეს, კი, თქვენ ბინა გეკუთვნით, მაგრამ თქვენი დაკმაყოფილება არ შეგვიძლია, ახლა სადმე შედით და მერე დამტკიცებაში დაგეხმარებითო. სოხუმელები არიან. ისინი ვარკეთილის სკოლაში შესულან. ახლა იქიდან გამოაგდეს. ნათესავმა მითხრა, უკანონოდ ვიყავი შესული, მაგრამ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მითხრეს, სადმე შედით და მერე გიშველით, თორემ ჩემით არ შევიდოდიო. მთელი ოჯახი იმ საერთო საცხოვრებლის ერთ ნომერში ცხოვრობდა. გამოსახლებულებს შორის იმისთანებიც იყვნენ, ოჯახები თავისით რომ გაიყო. ერთ ოჯახს ორი ბინა რომ მისცეს, ამის საშუალება ქვეყანას არ აქვს, მაგრამ დევნილებთან დაკავშირებით მე ამათ არ ვამართლებ. ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, იმდენი დახმარებაა მოსული, რომ დაერიგებინათ, ყველას ეყოფოდა. განა მათ ვამართლებ? დევნილებისთვის შემოსული დახმარების ფულით ხალხი გამდიდრდა. აქ უფრო სხვა პროცესი მიმდინარეობდა. საშიში პროცესი იყო, გამოყრა, გამოყრა... დამტკიცდება და იტყვიან, რა მოხდა. სხვათა შორის, ბევრ დევნილს მისცეს ბინები, მაგრამ, რაც დავითაიამ პარლამენტში პრეზიდენტის ვიზიტის დროს თქვა, მართალია. პრეზიდენტს სწორი ინფორმაცია არ აქვს. ვინც იტყუება, უნდა დაისაჯოს... სხვათა შორის, პრეზიდენტმა ხაზგასმით თქვა, რომ 25 ათას კაცს საკუთრების საბუთი მისცეს. დავითაიას მონაცემები ამოუღია, თუ რამდენ დევნილს გადაეცა საკუთრების მოწმობა და პრეზდენტს უთხრა, რომ ასეთი დოკუმენტი 7 ათას კაცზეა გაცემული. ე.ი. პრეზიდენტმა ვითარება გაიგო. თუ მართლა პრეზიდენტს 25 ათასს ეუბნებიან და 7 ათასზე მეტ დევნილზე არ არის გაცემული საკუთრების მოწმობა, ის ხალხი დასასჯელია. დევნილების მიმართ ასეთ მოქცევა როგორ შეიძლება. მე ამას არ ვეთანხმები, მაგრამ, ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს. ზოგიერთ კაცს ორი-სამი ბინა რომ აქვს მიღებული და კიდევ რაღაცის მიღებას ცდილობს, ასეთები უნდა გამოააშკარავონ, თორემ დევნილებს მართლა უნამუსოდ ექცეოდნენ.

***— ბატონო როინ, გარდა მაგისა, გამოსახლების დროს პოლიციელები დევნილებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. დილის 7-ის ნახევრზე შეუცვივდნენ, ბავშვები დაუწიოკეს, ნივთები გარეთ გამოუყარეს, ზოგი დაუმტვრიეს. ჯერ რა ქონების მოაგროვა ამ საცოდავმა ხალხმა, თქვენ ჩემზე კარგად იცით და ისიც დაუმტვრიეს. ეს ხომ ყოვლად მიუღებელი საქციელია ხელისუფალთა და მათი ბრძანებების აღმსრულებელთა მხრიდან?***

— ყოვლად მიუღებელია, მაგრამ სუბელიანი გამოდის და თავს იმართლებს, ისე კი არა, ასე იყოო. ასე რომ იყო, ამის გაკეთებას რა უნდოდა. ნახევარი წელია, ამ ხალხს აფრთხილებდნენ, გაგყრითო. ჩამოაყალიბე, ვის მიეცი. სულ 300 ოჯახია. დაწერე, ვთქვათ, 300 ოჯახიდან 100-მა მიიღო დახმარება. მეორეს გაფართოება უნდოდა, მაგრამ მას ბინას ვერ ვაძლევ. მესამე — ისეთი ხალხიც არის, ბინა ფოცხოში ჰქონდათ, მაგრამ 2008 წელს ფოცხოდან თბილისში გადმოვიდნენ, თბილისში უნდოდათ ცხოვრება. ასეთი ინფორმაცია რომ გამოექვეყნებინათ, თქვენც გაიგებდით და დევნილებიც ველარაფერს იტყოდნენ.

***— დევნილებს რომ აყვედრიან, ეს გაგიკეთეთ და ის გაგიკეთეთო, ფული თავიანთი ჯიბეებიდან არავის ამოუღია და თავისი საკუთარი ფული არავის გაუცია დევნილების სასარგებლოდ.***

— დიახ, ესეც არ არის სწორი. ამბობენ, დევნილი არაკანონიერად იყო შესულიო. რას ჰქვია, არაკანონიერად იყო შესული? რომელი კანონით გამოვიდა აფხაზეთიდან?

***— დიახ, მაშინ რომელი კანონით გამოიყვანეს ქართველები აფხაზეთიდან?***

— კაცი მიტოვებულ სახლში ცხოვრობს და რა არაკანონიერებაზეა ლაპარაკი? ამას ვინც ამბობს, მას არაფერი ესმის.

# ვახტანგ მაჭავარიანი კონსერვატორიაში იდირიჟორებს



**გამოჩენილი ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი 4 მარტს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საიუბილეო კონცერტს გამართავს.**

მაესტრომ თავისი იუბილეს ფარგლებში უკვე გამართა კლასიკური მუსიკის კონცერტი რუსთაველის თეატრში, სადაც ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმოფნიურ ორკესტრს უდირიჟორა და მუსიკაში თავისი ღმერთების ბეთჰოვენისა და ვაგნერის ნაწარმოებები შეასრულა. რუსთაველის თეატრში მისული მსმენელი ვახტანგ მაჭავარიანის ნაწარმოების „სიმფონიური სურათი ნაცარქექიას" პრემიერაზე აღმოჩნდა.

ამჯერად მაესტროს იუბილე კონსერვატორიის დიდ დარბაზში გრძელდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო) და ალექსი მაჭავარიანი (ფორტეპიანო), საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც ვახტანგ მაჭავარიანი უდირიჟორებს.

როგორც იუბილარი მაესტრო ამბობს, პირველად უდირიჟორებს ორკესტრს და პირველად მასთან ერთად სცენაზე იდგება მისი 12 წლის ვაჟი — პიანისტი ალექსი მაჭავარიანი, პირველად შესრულდება მაესტროს კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, ასევე პირველად შესრულდება ჯიმი ჩხაიძის „მოგონება" და „ასკანის ციხე". ვახტანგ მაჭავარიანმა თბილისელი მსმენელი საკმაოდ ბევრი სიახლით გაანებივრა და ამ ტრადიციის გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.

ორგანყოფილებიანი საღამოს საკონცერტო პროგრამაშია: ვივალდი — სიმფონია №1, ბახი — კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის ფა მინორი, ჯიმი ჩხაიძე — „მოგონება" და „ასკანის ციხე" სიმფონიური ორკესტრისთვის (პირველი შესრულება). მეორე განყოფილებაში კი აჟღერდება ვახტანგ მაჭავარიანის კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის (პირველი შესრულება), ალექსი მაჭავარიანის სიმფონია №4 „ახალგაზრდული". კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანის საიუბილეო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 15 ლარამდეა.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

— რუსთაველის თეატრის შემდეგ კონცერტს ვმართავთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც შესრულდება ვივალდი, ბახი, ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის ჯიმი ჩხაიძის, ალექსი მაჭავარიანის და ჩემი ნაწარმოებები.

*— ამდენი ახალი ნაწარმოების პრემიერა საქართველოსთვის სპეციალურად შემოინახეთ?*

— ასე გამოვიდა. ჩემს კონცერტინოს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის შეასრულებს თამარ ლიჩელი. ამ ნაწარმოების პრემიერაა და დიდი მოლოდინი გვაქვს.

*— თქვენს ვაჟიშვილს, ალექსის როგორი წინასაკონცერტო განწყობა აქვს?*

— ალექსი კონცერტისთვის საგანგებოდ ემზადება. ყველაფერი არ მინდა ვთქვა, მაგრამ მოლოდინი დიდი აქვს.

*— ალექსისთვის თუ გიდირიჟორიათ?*

— არა. ალექსი პირველად დაუკრავს ორკესტრის თანხლებით, ამიტომ ეს კონცერტი მისთვის მეტად საპასუხისმგებლოა.

*— რამდენ ხანს დარჩებით საქართველოში?*

— ამ კონცერტის შემდეგ ისევ წავალ საზღვარგარეთ, მაგრამ მალევე ჩამოვალ, რადგან ორი კონცერტი მაქვს დაგეგმილი თბილისში აპრილის დასაწყისში.

*— ისევ ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრს უდირიჟორებთ?*

— 7 აპრილს ოპერის ორკესტრთან ერთად შევასრულებ „რიგოლეტოს", ხოლო 9 აპრილს ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრთან ერთად წარვდგები მსმენელის წინაშე.

*— ეს კონცერტი 9 აპრილს სპეციალურად დაამთხვიეთ?*

— ასე გამოვიდა. ყველანაირად დაემთხვა. 9 აპრილი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი დღეა. აპრილის კონცერტების შემდეგ ისევ მომიწევს საქართველოს დატოვება, რადგან უცხოეთში ბევრი კონცერტი მაქვს დაგეგმილი.

# ქართველი მეცნიერები ქუვეითის გათხრების პროექტს წარადგენენ

**4 მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ქართველი მეცნიერების ქუვეითში არქეოლოგიური გათხრების პროექტის პრეზენტაცია შედგება. გასული წლის 24 დეკემბერს ქუვეითის კულტურის და ხელოვნების ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ბადერ ალ რიფაიმ და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთობლივი სამუშაოების შესახებ. შეთანხმების თანახმად, ქუვეითში ფაილაკას კუნძულზე ყოველწლიურად, ორი თვის განმავლობაში, არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს ეროვნული მუზეუმი ჩაატარებს.**

პირველი არქეოლოგიური ჯგუფი ქუვეითში 2011 წლის 7 მარტიდან აპრილის ბოლომდე იმუშავებს. არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობას მიიღებს 15 ქართველი მეცნიერი და სტუდენტი. პროექტი მთლიანად ქუვეითის მხრიდან ფინანსდება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში პროექტის პრეზენტაციას დაესწრებიან საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი. ქუვეითში საქართველოს არქეოლოგიური მისიის შექმნა ქართული მეცნიერების მაღალ საერთაშორისო რეპუტაციას ადასტურებს.

ქუვეითში ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების მიერ არქეოლოგიური გათხრების პროექტის პრეზენტაციამდე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მორიგი საჯარო ლექცია გაიმართა, რომელიც ამჯერად მსოფლიოში გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა პროფესორმა ანრი დე ლუმლეიმ წაიკითხა. საჯარო ლექციის თემა „პრეისტორიული ადამიანის მოგზაურობა აღმოსავლეთ აფრიკიდან ხმელთაშუაზღვისპირეთამდე" იყო.

საფრანგეთის აკადემიის წევრთან, ღირსების ლეგიონის ორდენის კავალერთან, პროფესორ ანრი დე ლუმლეის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი აღმოჩენა, მათ შორის „ტოტაველის ადამიანისა", რომელიც 90-იან წლებამდე უძველეს ევროპელად ითვლებოდა. პროფესორი ანრი დე ლუმლეი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს როგორც საფრანგეთში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ისე ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ აფრიკაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი პრეისტორიული მუზეუმისა და კვლევითი ლაბორატორიის დაარსებაში, როგორც საფრანგეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ. დღეს იგი არის პარიზის ბუნების ისტორიის ნაციონალური მუზეუმის საპატიო პროფესორი და ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ანრი დე ლუმლეი ხელმძღვანელობს მონაკოს სამეფოს ფონდს, რომელიც პრეისტორიის მხარდაჭერისთვისაა განკუთვნილი. წლების განმავლობაში ფრანგი მეცნიერი და პროფესორი ხელმძღვანელობდა ევროპის უდიდეს საბუნებისმეტყველო კომპლექსს — პარიზის ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმს. პროფესორი ანრი დე ლუმლეი დიდი ხანია მჭიდროდ თანამშრომლობს ქართველ კოლეგებთან და მისი მხარდაჭერით მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა საფრანგეთში. გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს, ცნობილ ფრანკოფონს ლეო გაბუნიას ახლო მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა პროფესორ დე ლუმლეისთან. ლეო გაბუნია გახლდათ ალიანს ფრანსეზის პირველი ხელმძღვანელი საქართველოში. ფრანგი მეცნიერის მოხსენების შემდეგ ეროვნული მუზუმში საქართველოს ეროვნული სიმებიანი კვარტეტის კონცერტი გაიმართა. საღამო აკადემიკოს ლეო გაბუნიას ხსოვნას მიეძღვნა. ღონისძიებაზე დასწრება წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა**





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად

შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


# საქართველოში შვეიცარიის კულტურის დღეები დაიწყო

**კონსერვატორიის მცირე დარბაზში შვეიცარიის კულტურის დღეები საქართველოში 2011" საზეიმო ვითარებაში მუსიკის საღამოთი გაიხსნა. შვეიცარიელმა პიანისტმა კარლ-ანდრეას კოლიმ ლისტის, ფელდერის და შუბერტის ნაწარმოებები შეასრულა.**

პროექტი „შვეიცარიის კულტურის დღეები საქართველოში 2011" ემსახურება შვეიცარია-საქართველოს კულტურული (კერძოდ, კლასიკური მუსიკის სფეროში) ურთიერთობებისა და კონტაქტების გაღრმავების იდეას. იგი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების გაცვლითი სისტემების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება კონცერტები, მასტერკლასები და ვორქშოფები, რომელთა არეალი საქართველოს რამდენიმე ქალაქს მოიცავს. მასში საგანმანათლებლო მხარეს უხელმძღვანელებენ საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული პროფესორები კარლ-ანდრეას კოლი, მათიას არტერი და ჯონას კოხერი. აღნიშნული მასტერკლასები ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების შემოქმედებითი წინსვლისა და პროფესიული ზრდის პროცესს.

ღონისძიებაში მონაწილეობენ ქეთი ჭეფხოძე, ანი ლომსარიძე (საქართველო), კარლ-ანდრეას კოლი, მატიას არტერი, ჯონას კოხერი (შვეიცარია). პროექტის მუსიკალური კონსულტანტია პროფესორი კარლ-ანდრეას კოლი. პიანისტი ციურიხის მუსიკალურ აკადემიაში ჰანს შიკერის ხელმძღვანელობით სწავლობდა. მან პროფესორ კარლ ენგელის ხელმძღვანელობით დაიცვა სოლისტის დიპლომი, როგორც წლის საუკეთესო დიპლომი და მიენიჭება პრიზი. წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებში. კარლ-ანდრეას კოლი მართავს კონცერტებს და იღებს მონაწილეობას ფესტივალებში, როგორც სოლისტი, ასევე კამერული შემსრულებელი მთელი ევროპის, კორეის, ჩინეთის, ავსტრალიისა და შეერთებული შტატების მასშტაბით. იგი თანამშრომლობს ციურიხის, ბაზელის და ბერნის სიმფონიურ ორკესტრებთან, სლოვაკიის რადიო-სიმფონიურ და სომფონიკას ორკესტრთან ბარსელონაში. ატარებს მასტერკლასებს. ძირითადად თანამშრომლობს ციურიხის კამერულ და მიუზიქ კოლეგიუმის ორკესტრებთან. მისი უჩვეულოდ ფართო რეპერტუარი დოკუმენტირებულია 80 სიდით. მათ შორისაა ბახის „გოლდენბერგ ვარიაციები" და „პრელუდიები და ფუგების" ორივე რვეული, შოპენის ყველა ეტიუდი, ბალადები, ნოქტურნები და პოლონეზები, მენდელსონის, ბუზონის, შუმანისა და ლისტის ნაწარმოებები. მას შესრულებული აქვს ბრამსისა და ფრანკის ყველა საფორტეპიანო ტრიო. კარლ-ანდრეას კოლი არის ციურიხის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი და საპატიო დოცენტი იაპონიასა და სამხრეთ ამერიკაში.

პროექტის მიზანია გააძლიეროს ორი მეგობარი ქვეყნის — შვეიცარიისა და საქართველოს ხალხებს შორის კულტურული კონტაქტები, ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი დიალოგი და თანამშრომლობა. დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გააცნოს შვეიცარიელ სტუმრებს ქართული მუსიკალური კულტურის მონაპოვარი და თანამედროვე მიღწევები, ხელი შეუწყოს მუსიკალურ-საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების გაცვლის, სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროცესს.

საქართველოში შვეიცარიის კულტურის დღეების ხელმძღვანელია ქეთევან ჭეფხოძე. მან 14 წლის ასაკში სწავლა გააგრძელა ციურიხის ხელოვნების უნივერსიტეტში ახალგაზრდა სტუდენტის სტატუსით. წარჩინებით დაამთავრა ბაკალავრი ჰანს-იურგ შტრუბის და მაგისტრატურას კარლ-ანდრეას კოლის ხელმძღვანელობით. მოპოვებული აქვს პრემიები სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე. მართავს როგორ სოლო, ასევე ორკესტრთან ერთად კონცერტებს თბილისსა და ევროპაში. ციურიხში მოღვაწეობის დროს მოწვეული იყო ანდრია ბალანჩივაძის 100 წლისდამი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტზე. მონაწილეობს საერთაშორისო მასტერკლასებში, არის არაერთი საერთაშორისო ფონდის სტიპენდიატი. მუშაობდა ვინტერტურის კონსერვატორიაში, რუდოლფ შტეინერის კოლასა და მუსიკალური აკადემია დე3-ში.

პროექტის მსვლელობისას წარმოდგენილი იქნება კონცერტების სერია, მასტერკლასები, ვორქშოფები, რომელიც მოიცავს თბილისს, რუსთავს და გორს. შეხვედრები ძირითადად მუსიკალურ სასწავლებლებში ჩატარდება. პროექტს ექნება, როგორც საკონცერტო, ასევე საგანმანათლებლო ფუნქცია. შვეიცარიის კულტურის დღეების დასასრულს ერთკვირიანი მასტერკლასების შედეგი წარმოდგენილი იქნება 11 მარტს „ხელოვნების აკადემიაში", ხოლო პროექტის დახურვის ცერემონიალი შედგება 12 მარტს ასევე „ხელოვნების აკადემიაში", სადაც ჯგუფი „კონვერგენსი" კონცერტს გამართავს.


## განცხადებები

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში" ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# რაიან გიგზი — 20 წლის შემდეგ

„ჩელსისთან“ გამოტოვებულ შეხვედრაში იუნაიტედელი რაიან გიგზი 20 წლის გახდა, უფრო სწორად, ამდენი ხანი გავიდა მისი მანჩესტერული დებიუტიდან. გუშინწინდელი შეხვედრაც „ჩელსისთან“ ისეთივე შედეგით დასრულდა, როგორითაც სულ პირველი მატჩი „ევერტონთან“ — „მანიუ“ ორივეში დამარცხდა. უელსელ ლეგენდას უკვე 863-ჯერ მოურგია „წითელი ეშმაკების“ მაისური.

ჟოზე მოურინიომ გიგზს ორიგინალური კომპლიმენტი უძღვნა და მას „პროფესიონალი მედლებში“ უწოდა. მართლაც, 1991 წლის შემდეგ რაიანმა ინგლისის ჩემპიონის ტიტული 8-ჯერ მოიპოვა, ხოლო ჩემპიონთა ლიგა — 2-ჯერ, რისი წყალობითაც ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი შეიქნა. სერ ალექს ფერგიუსონმა მას პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე უწოდა, ხოლო „მანიუს“ ფანობამ მას ისეთი ტიტული უბოძა, რომელზე მეტსაც ფეხბურთელი ვერასოდეს მიიღებს. ინტერნეტ-გამოკითხვამ გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად დაასახელა. უელსელი ჭეშმარიტი ვარსკვლავია და ამის გაგონებაზე დაიმორცხვა, არ მჯერა, რომ გულშემატკივრებმა ჯორჯ ბესტსა და ბობი ჩარლტონზე წინ დამაყენესო. „ევერტონის“ კაპიტანმა, ექსიუნაიტედელმა ფილ ნევილმა განაცხადა, რომ გიგზი მისი გმირია.

— ვიცი, რომ „მანიუს“ ისტორიაში ბევრი დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ სწორედ გიგზმა შეძლო ყველაფერის მოგება და ამიტომაც ვაყენებ მას ყველაზე მაღლა. ის ალბათ ყველა დროის ყველაზე დიდი ფეხბურთელების სიაშიც შედის, — ამბობს უმცროსი ნევილი.

ხანგრძლივმა და სტაბილურმა კარიერამ, რასაკვირველია, ხელი შეუწყო, რათა გიგზს ისეთი ფეხბურთელები ჩამოეტოვებინა, როგორიც მანჩესტერისთვის ჯორჯ ბესტი, ერიკ კანტონა და კრიშტიანუ რონალდუ არიან, რომელთა სახელები თავის დროზე უფრო ხმამაღლა ქუხდა „ოლდ ტრაფორდზე“ ვიდრე უელსელი ჯადოქრისა, მაგრამ მათი სახელები შედარებით ცოტა ხანს იყო „ოლდ ტრაფორდზე“.

— ჩვენ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანები ვართ. როდესაც რამე საქმეს ვკიდებ ხელს, ის ძალიან სწრაფად მიყვარდება, მალევე მბეზრდება კიდეც. გამიმართლა, რომ ასეთი სიყვარული ცხოვრებაში ბევრი მქონდა. ერთი საყვარელი საქმის შემდეგ რომ ხელი მეორისთვის მომეკიდა, ამის პრობლემა არასოდეს მქონია. ამის მიუხედავად, ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი რაიანის ტიპის ადამიანებით. ის ხომ ფეხბურთს დღემდე ვნებით თამაშობს. კიდევ ვიმეორებ, აღფრთოვანებული ვარ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია. ასეთივეა პაოლო მალდინიც, — განუცხადა პრესას ერიკ კანტონამ.

მალდინი პროფესიონალიზმის ის მოდელია, რომელმაც ორ ათეულ წელიწადს გაუძლო და რომლის შედარებაც შეიძლება გიგზთან. ამ დროს ალბათ არავის გაახსენდება, რომ მილანელს მსოფლიოს 4 ჩემპიონატზე უთამაშია, ხოლო უელსელს არასოდეს უასპარეზია დიდ სანაკრებო ტურნირებზე. მას შეეძლო, თავის დროზე არჩევანი ინგლისზე გაეკეთებინა და ბრაიან რობსონი მას მოუწოდებდა კიდეც, მაგრამ კარდიფში დაბადებული ბიჭის სული და გული უელსისთვის ფეთქავდა. გიგზს არჩევანი მისმა რამდენიმე თანამემამულემაც არ მოუწონა. ისე, მართლა საინტერესოა, რა მოხდებოდა, ინგლისელთა სახელით რომ ეთამაშა.

— მას ისევე ემაყებოდა ვალიური ფესვების, როგორც მე, — განუცხადა ჟურნალისტებს კლეიტონ ბლექმორმა, უელსის ნაკრებში მისმა ყოფილმა პარტნიორმა.

აღნიშნულ საკითხზე თავად ლეგენდარულ ფეხბურთელს კომენტარი უამრავჯერ აქვს გაკეთებული, სადაც სულ ერთსა და იმავეს აცხადებს, რომ კარიერის ადრეულ ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ ნანობს.

# იურგენ კლოპი: „მორწმუნე გავხდი“



გერმანული ბუნდესლიგის ბოლო ტურში „დორტმუნდმა“ მიუნხენის „ალიანს არენაზე“ „ბაიერნს“ 3:1 მოუგო და ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. ფინიშამდე 10 ტურით ადრე დორტმუნდელების გაჩემპიონებაში ეჭვი აღარავის ეპარება.

ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ რურელების მიერ მოპოვებული ჩემპიონობა კი ყველაზე მეტად მათი 43 წლის მწვრთნელის, იურგენ კლოპის დამსახურება იქნება. კლოპი 2008 წლის ზაფხულში ჩაუდგა სათავეში „დორტმუნდს“ და იმავე წელს გუნდს გერმანიის სუპერთასი მოაგებინა. 2008-ში დორტმუნდელებმა მე-13 საფეხურზე დაასრულეს ბუნდესლიგა, კლოპმა კი გუნდი ჯერ მეექვსე საფეხურამდე აიყვანა, 2010-ში — მეხუთეზე, მომავალ მაისს კი უეჭველად ჩემპიონობას იზეიმებს.

მასთან ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა.

***— როდესაც ახალგაზრდა იყავით, ავტორიტეტებს მაშინაც არ ცნობდით?***

— მამაჩემი თხემიდან ტერფამდე სპორტსმენი იყო, ამასთან, პედაგოგიური ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული. მან არა მარტო ფეხბურთი, არამედ ჩოგბურთი და თხილამურებზე დგომაც შემასწავლა. მამა ადრეული ასაკიდან ზრუნავდა ჩემთვის მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებაზე. როდესაც თხილამურებით ვსრიალებდით, მხოლოდ მის ზურგს ვხედავდი და ვცდილობდი, დავწეოდი. პატარა ბავშვისთვის ეს რთული იყო. მამა მრავალმხრივ სპორტსმენად მაყალიბებდა. მისი სიკვდილი ჩემთვის დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. მშობელმა გარდაცვალების შემდეგაც მოახდინა ჩემზე დიდი ზეგავლენა — მორწმუნე გავხდი.

***— მაინც რას ნიშნავს თქვენთვის ღვთის რწმენა?***

— ძალიან ბევრს. ადრეულ ასაკში ცხოვრებას სულ სხვა თვალით ვუყურებდი, ახლა კი, შეძლებისდაგვარად, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლას ვლამობ. სამწუხაროა, ბევრი რამის ტრანსფორმაცია ჩემს შესაძლებლობებს რომ აღემატება. მაგალითად, სხვადასხვა სნეულების განკურნებაში უძლური ვარ. არსებობს დაავადებები, რომელთაც დიდძალი ფულითაც ვერ დაამარცხებ.

***— ცხოვრებისა და მთლიანად სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლას პოლიტიკოსები ყველაზე ხშირად გვპირდებიან. თქვენ ხომ არ აპირებთ რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას?***

— ღმერთმა დამიფაროს! ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, პოლიტიკაში ჩართული ადამიანები მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ და გარშემომყოფთა პრობლემები ნაკლებად აწუხებთ.

***— ფეხბურთის მეშვეობით შესაძლებლად მიგაჩნიათ ადამიანთა საკმაოდ მძიმე ხვედრის შემსუბუქება?***

— რურში ვცხოვრობთ, სადაც მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს უარყოფითი დაღი დაასვა. ბევრმა ადამიანმა სამუშაო დაკარგა და ისინი რთული მდგომარეობის გასაქარვებლად არა მარტო „დორტმუნდის“ თამაშებზე დადიან, არამედ ჩვენი გუნდის ვარჯიშებსაც რეგულარულად ესწრებიან. ბიჭებმა კარგად იციან, რაოდენ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენი გუნდის გულშემატკივრები, ამიტომაც კარგი თამაშით ყველაფერს აკეთებენ მათ გასახარად.

***— მხოლოდ მორალურ მხარდაჭერაზეა საუბარი?***

— თქვენ ეს ცოტა გგონიათ? გულშემატკივრები ჩვენთან ერთად განიცდიან საფეხბურთო მინდორზე მიმდინარე მოვლენებს, „დორტმუნდთან“ ერთად იმარჯვებენ და საყვარელ გუნდთან ერთად მარცხდებიან. თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის, რა მისიაც გვეკისრება და ყოველმხრივ ვცდილობთ, ადამიანები ბედნიერები თუნდაც 90 წუთის განმავლობაში ვამყოფოთ.

***— მინდორზე გასვლის წინ ამას ეუბნებით დორტმუნდელ ფეხბურთელებს?***

— არა, მათ ამის შეხსენება ყოველი მატჩის წინ ნამდვილად არ სჭირდებათ. ისინი უჩემოდაც კარგად გრძნობენ, თუ რა გაახარებს ყველაზე მეტად რურელ მაყურებელს. გულშემატკივარიც მისდამი ჩვენეულ დამოკიდებულებას კარგად გრძნობს. სეზონის სტარტის წინ ერთ-ერთი ქომაგის წერილი მივიღე. იგი მწერდა, რომ სახელმწიფოსგან მიღებული სოციალური დახმარებით მან „დორტმუნდის“ საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტი იყიდა და გუნდის არც ერთ შეხვედრას არ გამოტოვებს.

***— თქვენ რა უპასუხეთ?***

— უპირველესად, შევწუხდი, რადგან სოციალური დახმარებით მას უფრო მეტად საჭირო ნივთების ან თუნდაც საკვების შეძენა შეეძლო. მეორე მხრივ, სიამაყის გრძნობა დამეუფლა, რადგანაც ჩვენმა ქომაგმა მატერიალურს სულიერი ამჯობინა. სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკურ სიტუაციას გამოვასწორებ და ვერც ეკონომიკურს, სამაგიეროდ, ჩვენი გუნდი ახერხებს, მატჩის მსვლელობისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში ადამიანებს სიხარული განაცდევინოს.

***— რამდენიმე კითხვას დაგისვამთ, თქვენ კი პასუხის გაცემას მხოლოდ ერთი სიტყვით გთხოვთ.***

— შევთანხმდით.

***— თქვენი აზრით, თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლი გაზვიადებულია?***

— არა.

***— მოჭარბებული ფული ფეხბურთის შემდგომ განვითარებას ამუხრუჭებს?***

— არა.

***— აგენტები ფეხბურთს ზიანს აყენებენ?***

— არა.

***— ფეხბურთში სამართლიანობა უმეტესწილად იმარჯვებს?***

— დიახ.

***— „პროფესიულ გადაწყვეტილებას პირადი მოსაზრების გამო არასდროს ვიღებ“. ეს თქვენი სიტყვებია?***

— დიახ.

***— იურგენ კლოპი ინტერვიუებში ყოველთვის სიმართლეს ამბობს?***

— არა.

# იმერული დერბი „ზესტაფონმა“ მოიგო

**ზესტაფონი — ტორპედო 1:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი**

**1:0 დვალი (23)**

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, კობახიძე, გ.ონიანი, ელიავა (ბაბუნაშვილი 80), დაუშვილი, გრიგალაშვილი, აფციაური, ძარია (გორგიაშვილი 59), დვალი, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 68)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ფარულავა, თოდუა, გურული (ბაკურაძე 46), სეთურიძე, დილმელაშვილი, თარხნიშვილი (დოლიძე 64), ქებაძე, გიგაური (გუგუჩია 46), ვ.კვარაცხელია

იმერული დერბი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა. მატჩის დასაწყისში ხიფათი მასპინძელთა კართან შეიქმნა, მაგრამ როინ კვასხვაძემ გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

ამის შემდეგ გუნდებმა უშელავათო ბრძოლა გააჩაღეს და ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. მასპინძლები უპირატესობას ნელ-ნელა დაეუფლენ, რომელიც 23-ე წუთზე ჯაბა დვალის მიერ გატანილ გოლად იქცა.

ამის შემდეგ სტუმრებმა უფრო მოუმატეს, მაგრამ ხიფათამდე საქმე არ მიდიოდა. რაც უფრო დასასრულისკენ მიდიოდა მატჩი, იგრძნობოდა, რომ „ტორპედო“ უფრო დაიღლებოდა. ასეც მოხდა — ქანცგაწყვეტილი გუნდი გოლის გატანას ლამობდა და შუა ხაზის ფეხბურთელები უკან დაბრუნებას ველარ ასწრებდნენ, რითიც „ზესტაფონს“ შეეძლო, კიდევ გაეტანა გოლები, მაგრამ ჯერ ნიკოლოზ გელაშვილმა და შემდეგ რატი წინამძღვრიშვილმა ასპროცენტიანი საგოლე შანსები გაანიავეს. საბოლოოდ 1:0 და ეს გუნდები ახლა უკვე თასის ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

**სპარტაკი — სამტრედია 1:0**

**1:0 მამუჩიშვილი (23)**

ცხრილის ფსკერზე ერთნაირი ქულებით მყოფი გუნდების ჯახი მასპინძლებმა მოიგეს.

გადამწყვეტი თბილისის „დინამოდან“ იჯარით აყვანილი გიორგი მამუჩიშვილის გოლი აღმოჩნდა, რითიც ცხინვალელებმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს და ელიტაში დარჩენა უფრო რეალური გახადეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 22 | 15 | 2 | 5 | 44:13 | 47 |
| 2.ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33:19 | 44 |
| 3.დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24:11 | 37 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 2 | 11 | 23:27 | 29 |
| 5.ბაია | 21 | 5 | 8 | 8 | 21:23 | 29 |
| 6.ტორპედო | 22 | 6 | 8 | 7 | 11:13 | 26 |
| 7.სიონი | 22 | 6 | 7 | 9 | 15:27 | 25 |
| 8.ცხინვალი | 22 | 5 | 5 | 11 | 23:26 | 23 |
| 9.კოლხეთი | 22 | 6 | 4 | 12 | 16:34 | 22 |
| 10.სამტრედია | 22 | 5 | 5 | 12 | 19:37 | 20 |

**ბომბარდირები:** რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 11-11 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 8, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 7.

# ალექსანდრე ამისულაშვილი: „კრასნოდარში“ ამხელა პატივი ჩემთვის მოულოდნელი იყო“

რუსულ პრემიერლიგაში ახლახან აღზევებული „კრასნოდარის“ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ალეკო ამისულაშვილი კლუბში დიდი პატივით მიიღეს. ამაზე „კრასნოდარის“ მიერ თურქულ შეკრებაზე ჩატარებული ბოლო საკონტროლო შეხვედრებიც მეტყველებს.

ბოლო ორ შეხვედრაში „კრასნოდარმა“ ჯერ ნოვოსიბირსკის „სიბირს“ 3:1 სძლია, 27 თებერვალს კი ოდესის „ჩერნომორეცს“ — 1:0. ეს სეზონის დაწყებამდე კრასნოდარელთა გენერალური რეპეტიცია იყო. ამისულაშვილმა ორივე ძირითადში ითამაშა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო: „კრასნოდარის“ ვებგვერდმა მატჩის ფოტორეპორტაჟი გუშინ გამოაქვეყნა და სურათებზე აღმოვაჩინეთ, რომ რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტი გუნდი მოედანზე კაპიტნის სამკლაურით სწორედ ამისულაშვილმა გაიყვანა.

რუსულ პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელების კაპიტნობა იშვიათი მოვლენაა და, რა იქნება სეზონის განმავლობაში, ჯერ ვერ გეტყვით. თუმცა, თავად ფეხბურთელი იმედიანად არის.

— ჯერ „კრასნოდარის“ კაპიტნად ოფიციალურად არ დავნიშნულვარ, მაგრამ ჩასვლისთანავე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სლოვოლიუბ მუსლინმა დამიბარა და მითხრა, რომ „სიბირთან“ და ოდესის „ჩერნომორეცთან“ გუნდს მოედანზე მე გავიყვანდი. გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, მაგრამ ამხელა პატივი ჩემთვის მოულოდნელი იყო. მწვრთნელის ნდობამ ძალიან გამახარა. როგორც ვხვდები, წლეულს ასეც გაგრძელდება და გუნდს მე ვუკაპიტნებ, — ამბობს ქართველი ფეხბურთელი.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. თასი**

სიტი-ასტონ ვილა ........ 3:0
არსენალი-ლორიენი ........ 5:0

**იტალია. სერია ბ**

ტორინო-ატალანტა ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ერკულესი ........ 1:0
ოსასუნა-დეპორტივო ........ 0:0
სოსიედადი-ლევანტე ........ 1:1
სარაგოსა-ბილბაო ........ 2:1
ხეტაფე-ატლეტიკო ........ 1:1
ვალენსია-ბარსელონა ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 23 | 2 | 1 | 77:13 | 71 |
| 2.რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55:19 | 61 |
| 3.ვალენსია | 26 | 15 | 6 | 5 | 40:27 | 51 |
| 4.ვილიარ. | 26 | 15 | 5 | 6 | 45:26 | 50 |
| 5.ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35:38 | 40 |
| 6.ბილბაო | 26 | 12 | 2 | 12 | 40:38 | 38 |
| 7.სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41:40 | 38 |
| 8.ატლეტიკო | 26 | 10 | 5 | 11 | 36:34 | 35 |
| 9.სოსიედ. | 26 | 11 | 2 | 13 | 37:42 | 35 |
| 10.მალიორკა | 26 | 10 | 4 | 12 | 27:35 | 34 |
| 11.ხეტაფე | 26 | 9 | 5 | 11 | 36:39 | 33 |
| 12.რასინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:35 | 29 |
| 13.ლევანტე | 26 | 8 | 4 | 14 | 27:38 | 28 |
| 14.დეპორტ. | 26 | 6 | 10 | 10 | 21:35 | 28 |
| 15.სარაგოსა | 26 | 6 | 9 | 11 | 24:38 | 27 |
| 16.ოსასუნა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:32 | 26 |
| 17.ერკულესი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:39 | 26 |
| 18.ხიხონი | 26 | 5 | 10 | 11 | 23:34 | 25 |
| 19.მალაგა | 25 | 6 | 5 | 14 | 34:51 | 23 |
| 20.ალმერია | 25 | 4 | 9 | 12 | 25:43 | 21 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-ვალიადოლიდი ........ 1:1
რაიო-ალკორკონი ........ 1:0
ხერესი-ტარაგონა ........ 1:2
ლას პალმასი-უელვა ........ 1:1

**გერმანია. თასი**

ბაიერნი-შალკე ........ 0:1

**საფრანგეთი. თასი**

შამბერი-ანჟე ........ 0:3
პსჟ-ლე მანი ........ 2:0(დდ)
ლილი-ლორიენი ........ 0:0(5:3პ)

**ჰოლანდია. თასი**

ტვენტე-უტრეხტი ........ 1:0

**პორტუგალია. ლიგის თასი**

ბენფიკა-სპორტინგი ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-აბერდინი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 27 | 20 | 4 | 3 | 59:17 | 64 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 19 | 2 | 4 | 57:23 | 59 |
| 3.ჰართსი | 27 | 17 | 4 | 6 | 41:22 | 55 |
| 4.კილმანროკი | 27 | 11 | 6 | 10 | 40:33 | 39 |
| 5.მოზერველი | 28 | 11 | 4 | 13 | 31:35 | 37 |
| 6.დანდი | 25 | 8 | 10 | 7 | 30:31 | 34 |
| 7.ინვერნესი | 28 | 8 | 9 | 11 | 36:37 | 33 |
| 8.ჰიბერნიანი | 28 | 9 | 4 | 15 | 30:44 | 31 |
| 9.აბერდინი | 28 | 9 | 4 | 15 | 30:44 | 31 |
| 10.სტ.ჯონსონი | 28 | 8 | 7 | 13 | 17:34 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 27 | 4 | 7 | 15 | 22:44 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 27 | 2 | 9 | 16 | 16:46 | 15 |

**შოტლანდია. თასი**

სელტიკი-რეინჯერსი ........ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-შტურმი ........ 2:0
კაფენბერგი-ზალცბურგი ........ 0:1
ლინცერი-ნოიშტადი ........ 2:3
რიდი-ინსბრუკი ........ 2:2

**ბელგია. თასი**

გენტი-ვაითი ........ 1:0
ბეერსხოტი-სერკლი ........ 1:1
მეხელენი-სტანდარდი ........ 1:4
ლიერსი-ვესტერლო ........ 2:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-სიონი ........ 1:2
თუნი-ქსამაქსი ........ 0:0(0:3პ)
იანგ ბოიზი-ციურიხი ........ 3:4(დდ)

**საბერძნეთი. თასი**

ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი(ვ) ........ 2:1

**თურქეთი. თასი**

ბუკა-გენჩლერი ........ 1:2
გალათასარაი-გაზიანთეპი ........ 0:0

**პოლონეთი. თასი**

ლეჩნა-იაგელონია ........ 0:0
ბიტომი-ლეხი ........ 1:2

**ფინეთი. თასი**

კუუპიო-როვანიემი ........ 1:2

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ატლანტა-ჩიკაგო ........ 83:80
ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 2 მოხსნა
ვაშინგტონი-გოლდენ სტეიტი 102:106
კლივლენდი-სან ანტონიო ........ 99:109
ბოსტონი-ფინიქსი ........ 115:103
დეტროიტი-მინესოტა ........ 105:116
ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი ........ 107:88
ოკლაჰომა-ინდიანა ........ 113:89
დენვერი-შარლოტი ........ 120:80
საკრამენტო-პორტლენდი ........ 102:107
კლიპერსი-ჰიუსტონი ........ 106:103

## ჩოგბურთი

**ვტა. კუალა ლუმპური. ჰარდი**

კრემერი-ლერტჩივაკარნი ........ 7:6;6:3
დოკიჩი-ნარა ........ 3:6;7:6;6:2
მორიტა-ჩჟანი ........ 6:0;6:4
გროტი-დოი ........ 7:6;6:3
ბარტოლი-ივანოვა ........ 6:2;6:1

**ვტა. მონტერეი. ჰარდი**

კუდრიავცევა-გოვორცოვა .. 3:6;6:4;0:6
ერანი-არნი ........ 6:4;5:7;4:6
პავლუჩენკოვა-ოუდინი ........ 6:2;7:6
იანკოვიჩი-დომინგეს ლინო ........ 6:4;6:1
ბენეშოვა-დულკო ........ 2:6;6:7

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-მინესოტა ........ 4:1
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი ........ 2:1
ტორონტო-პიტსბურგი ........ 3:2(ოტ)
ჩიკაგო-კალგარი ........ 6:4
ანაჰაიმი-დეტროიტი ........ 2:1(ოტ)

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# პენსიონერი ქალბატონები მარჯანიშვილის თეატრს ესტუმრნენ

ეკა ირემაშვილი

დედის დღესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თბილისის პენსიონერი ქალბატონები მარჯანიშვილის თეატრში დაპატიჟა, სადაც წარმოდგენილი იყო თუმურ ჩხეიძის მიერ დადგმული და დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ აღდგენილი სპექტაკლი „მგზავრის წერილები“.

ამ სპექტაკლის პრემიერა პირველად 1982 წელს შედგა. რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, წარმოდგენას „ასი წლის წინ“ უწოდა და მასში ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ნაწარმოები გააერთიანა: „ოთარაანთ ქვრივი“, „მგზავრის წერილები“, და „კაცია□ადამიანი?!“. სპექტაკლში თენგიზ არჩვაძესთან ერთად იაკობ ტრიპოლსკიც მონაწილეობდა. სპექტაკლი ამ წლის 1 თებერვალს, რეჟისორ დიმიტრი ღვთისიაშვილის მიერ იქნა აღადგენილი.

ორმოქმედებიან წარმოდგენაში მონაწილეობენ თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, გია ბურჯანაძე, დათო დვალიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ზვიად სხირტლაძე. სპექტაკლში გამოყენებულია გომარ სიხარულიძის მუსიკა, რეჟისორის თანაშემწე ნინო ჟორჟოლიანია.

პენსიონერ ქალბატონებს დედის დღე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მაკო ჭოლოშვილმა პირადად მიულოცა. დედის დღე პარლამენტარებმა და პოლიტიკოსებმა სხვადასხვა პროფესიის ქალბატონებს მიულოცეს.

თემქის ხანდაზმულთა პანსიონატში დედის დღესთან დაკავშირებით, შოუ კონცერტი გაიმართა. საღამო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო. თავშესაფარში ამჟამად 120 ბენეფიციარია, მათი უბრავლესობა ქალია. დედის დღეს მოხუცებულებს „ბლუზ□ბენდი“ ეწვია. ჯგუფის წევრებმა სიმღერები ძირითადად უცხო ენაზე შესრულეს. კონცერტის გარდა, თემქის პანსიონატში გაიმართა ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის ფოტოსესია, ფოტოგრაფმა თითოეულ ქალბატონს სამახსოვრო ფოტო გადაუღო. მსგავსი ღონისძიებები მომავალში სხვა მსგავს დაწესებულებებშიც არის დაგეგმილი.

# ინდუს განდეგილებს მარიხუანათი ვაჭრობა აუკრალეს




ნეპალის ხელისუფლებმა ინდუიზმის რელიგიაში წმინდანებად გამოცხადებულ ასკეტებს, რომლებიც სადჰუს სახელით არიან ცნობილი, კატმანდუში, პაშუპატინატხის უძველესი ტაძრის სიახლოვეს მარიხუანათი ვაჭრობა აუკრალეს.

კატმანდუში ინდუსები მაჰა შივარატრის, ანუ შივას დიდი ღამის დღესასწაულს აღნიშნავენ. ინდუსი ასკეტები ამ დღესასწაულს ტრადიციულად მარიხუანას წევით ხვდებიან. სადჰუები ტაძრებში, გამოქვაბულებში, ტყეებში ცხოვრობენ, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე უარს ამბობენ და მთლიანად მედიტაციას ეძლევიან.

დღესასწაულის დროს ნეპალის ხელისუფლები მათ მარიხუანათი ვაჭრობის შემთხვევაში ტაძრის კომპლექსიდან გაგდებით დაემუქრნენ. გავრცელებული ცნობების თანახმად, გადაცმული პოლიციელები რამდენიმე დღის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ სადჰუებს და მათ შორის ნარკოტიკებით მოვაჭრეთა გამოვლენას ცდილობდნენ.

ოცამდე სადჰუ ხელისუფლებმა უკვე დააკავეს და ნეპალის დედაქალაქიდან გააძევეს. ინდუსთა რელიგიური შეხედულებების თანახმად, მარიხუანაზე უარს არც თავად შივა ამბობდა. ამიტომ სადჰუებს ეს საქმიანობა ცოდვად სულაც არ მიაჩნიათ, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ამ გზით ისინი შივას და მის კურთხევას უახლოვდებიან.

შივას დიდი ღამის დღესასწაულზე პაშუპატინატხის ტაძაში ყოველწლიურად ათასობით სადჰუ იყრის თავს. წლეულს ეს დღესასწაული ორ მარტს დაემთხვა. ტაძრის ხელისუფლები აცხადებენ, რომ ისიიჯნ სადჰუების მიერ მარიხუანას მოწევის წინააღმეგი არ არიან და მხოლოდ და მხოლოდ ტაძრის ტერიტორიაზე ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ნეპალის ხელისუფლების განცხადებით, ბოლო დროს ნარკოტიკების გამოყენებას კომერციული ელფერი მიეცა, რაც ინდუისტური დღესასწაულის არსს ეწინააღმდეგება. გასულ წელს მათ სადჰუების მიერ მარიხუანათი ვაჭრობის აღკვეთა ვერ შეძლეს და მდგომარეობის წლეულს გამოსწორება აქვთ გადაწყვეტილი.

ამ აკრძალვის რეალიზების მიზნით ნეპალის ხელისუფლებმა სპეციალური ორგანო დააწესეს, რომლის შემადგენლობაშიც ნეპალის პოლიციელები და სამხედროები შევიდნენ.

ჯერჯერობით მათ მხოლოდ მარიხუანას რამდენიმე სიგარეტი ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ, ნეპალელი ხელისუფლების კატეგორიული განცხადების თანახმად, ნებისმიერი სადჰუ, ვისაც ნარკოტიკის დიდ რაოდენობას უპოვიან, ციხეში ამოჰყოფს თავს. **გ.თ.**

# „ქრისტიან დიორმა“ ჯონ გალიანო ანტისემიტური სკანდალის გამო დაითხოვა

„ქრისტიან დიორის“ მოდების სახლმა ანტისემიტური გამონათქვამების ბრალდებების წაყენების შემდეგ მთავარი დიზაინერის თანამდებობიდან ცნობილი მოდელიორი ჯონ გალიანო დაითხოვა.

გალიანოს დათხოვნის გადაწყვეტილება მოდების სახლის ხელმძღვანელობამ მას შემდეგ მიიღო, რაც ანტისემიტური გამოსვლების დამადასტურებელი ვიდეოკლიპი ნახეს. ვიდეოჩანაწერზე ჯონ გალიანოს მსგავსი ადამიანი პარიზის ერთ-ერთ კაფეში ორ ქალს ეუბნება, რომ მას „ჰიტლერი უყვარს“.

„ქრისტიან დიორის“ აღმასრულებელი დირექტორის, სიდნი ტოლედანოს თქმით, იგი კატეგორიულად გმობს ჯონ გალიანოს მიერ ნათქვამ სიტყვებს, რომლებიც „ქრისტიან დიორის“ ფასეულობებს ძირფესვიანად ეწინაღმდეგება“.

ჯონ გალიანოს ადვოკატის თქმით, 50 წლის დიზაინერი ამტკიცებს, რომ უდნაშაულოა.

მანამდე, სამშაბათს ჯონ გალიანო მსახიობმა ნატალი პორტმანმაც გააკრიტიკა. ფილმში „შავი გედი“ შესრულებული როლისათვის




იგი ორიოდე დღის წინ „ოსკარით“ დააჯილდოვეს.

მსახიობის თქმით, ჯონ გალიანოს ვიდეოჩანაწერმა და დიზაინერის სიტყვებმა მასში „შოკი და ზიზღი“ გამოიწვიეს.

ვოდეოკლიპში ჯონ გალიანო პარიზის ერთ-ერთი კაფეს სტუმრებს ეუბნება, „თქვენნაირები დიდი ხნის წინ იქნებოდნენ მკვდარი, თქვენს დედებს, წინაპრებს გაზის კამერებში დახოცავდნენ“.

ჯონ გალიანო პოლიციამ მისი მისამართით საჩივრის წაყენების შემდეგ მცირე ხნით დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით გაათავისუფლეს. პარიზელი წყვილი, ქალი და მამაკაცი, ამტკიცებდა, რომ დიზაინერმა მათი მისამართით თავს ანტისემიტური ხასიათის განცხადების უფლება მისცა, რასაც ორმხრივი ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა. **გ.თ.**

# ფრანკოფონიის თვე ბრუნდება

ეკა ირემაშვილი

საფრანგეთის საელჩო საქართველოში, შვეიცარიის საელჩო და „ფრანგული ინსტიტუტი“ (დიუმას ცენტრი) მთელი მარტის განმავლობაში ფრანკოფონიის დღესასწაულს უმასპინძლებს. მთელი თვის განმავლობაში სრულიად საქართველოში მრავალფეროვანი კულტურული, ლიტერატურული, თეატრალური, კინემატოგრაფიული, მუსიკალური, სამეცნიერო თუ პედაგოგიური ღონისძიებები გაიმართება.

ფრანკოფონიის თვესთან დაკავშირებით ალექსანდრე დიუმას ფრანგულ ცენტრში 4 მარტს საგანგებო პრესკოფერენცია გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის ელჩის მოადგილე, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურის საკითხებში, შვეიცარიის ელჩის მოადგილე და რამდენიმე ფრანკოფონი ქვეყნის ელჩი.

ფრანკოფონიის დღეების განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები განკუთვნილია ყველა იმ ფრანგულენოვანი თუ არაფრანგულენოვანი ადამიანისათვის, ვისაც სურს ფრანგული ენის იმ იდეებისა და გრძნობების სიმდიდრის, მრავალფეროვნებისა და თანამედროვეობის აღმოჩენა, რომელთაც ეს ენა მთელს მსოფლიოში ავრცელებს. გარდა ამ ღონისძიებებისა, გაიმართება კონკურსები მოსწავლეების, სტუდენტებისა და ფრანგული ენის პედაგოგებისთვის. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია მრავალფეროვანი პრიზები, მათ შორის ერთკვირიანი მოგზაურობა პარიზში.

12 მარტს ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პირველ კორპუსშიდაიწყება რეგიონალური ფრანგულენოვანი კონკურსი „მე მიყვარს ფრანგული ენა“. 14 მარტს ნაჩვენები იქნება მხატვრული ფილმი „პატარა ნიკოლა“ (ფრანგულ ენაზე), 15 მარტს კი წარმოდგენილი იქნება მხატვრული ფილმი „კოკო შანელამდე“.

ფრანკოფონიის ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდება ლიტერატურული ლექცია „ჟან ჟენე“, კითხულობენ გიორგი ეკიზაშვილი, მთარგმნელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური პალმების ორდენის ოფიცერი და ჟოელ ბასტენერი, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურისა და თანამშრომლობის საკითხებში.

16 მარტს გაიხსნება სამეცნიერო კონფერენცია „ფრანგული ენა და კულტურა“. მასში მონაწილეობენ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. გაიმართება ქართველი მწერლების ნაწარმოებების კითხვა ფრანგულ ენაზე.მთარგმნელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დალი იაშვილი.

ფრანკოფონული სალონი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ხელოვნების გალერეაში საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციის 20 წლის იუბილეს აღნიშნავს. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციაა.

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გათამაშდება ჟან ჟენეს „მოახლეები“. სპექტაკლს წარმოადგენს კომპანია „ფესვი ორიდან“, ფრანგულ ენაზე, ქართული სუბტიტრებით. 18 მარტს ქუთაისის ფრანგულენოვანი სკოლების მოსწავლეები წარმოადგენენ სპექტაკლებს ფრანგულ ენაზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები გამართავენ კონფერენციას „ფრანკოფონული საქართველო“. „კამპუს ფრანსის“ საზღვარგარეთ ფრანგული უმაღლესი განათლების გავრცელების სააგენტო კი ღია კარის დღეს მოაწყობს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს კულტურული საღამოს სახელწოდებით „ფრანკოფონია — კულტურათა გაზიარება“. 19 მარტს ქუთაისში ფრანკოფონიის დღეები ოფიციალურად დაიხურება. დახურვის საზეიმო ცერემონიალზე რეგიონალური კონკურსის „მე მიყვარს ფრანგული ენა“ გამარჯვებულებს დააჯილდოებენ.

ფრანგული კულტურის ცენტრი „ჰოლი“ ფრანკოფონიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფრანკოფონიის კონკურსების მოსწავლეთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა შორის გამარჯვებულებს დააჯილდოებს. 22 მარტს კი ლიტერატურული საღამო „ქალები საუკუნეებს მიღმა“ გაიმართება. მისი ორგანიზატორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ცენტრთან თანამშრომლობით ფრანგული კულტურის ცენტრი.

23 მარტს მოეწყობა ლიტერატურული ლექცია „ჟაკ შესე, შვეიცარიელი მწერალი“, კითხულობს ან-ლიზ დელაკრეტაზ მაგეტი, ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი და მკვლევარი. ნაწყვეტებს ნაწარმოებებიდან კი წაიკითხავს მსახიობი კატრინ კუნც ვუტა.

ფრანკოფონიის კულტურის დღეების ფარგლებში გაიმართება კოლოკვიუმი „ფერების მნიშვნელობა ენების შესწავლისას“. მასში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ცენტრთან თანამშრომლობით.

ლიტერატურული კონფერენცია „დიალოგი ტექსტსა და ნახატს შორის“ თსუ-ში გაიმართება, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ევროპული დოქტურანტურის დოქტორანტები გაერთიანედებიან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული ბიბლიოთეკის კორპუსის ჰოლში სარკის წინ — ირინა აბჟანდაძის მიერ კოლეტის რომანის „მაწანწალა“ შთაგონებით გადაღებული ფოტოების გამოფენა გაიხსნება. შვეიცარიელი მწერლის, ჟაკ შესეს ნაწარმოებებს წაიკითხავენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანისტიკის ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

26 მარტს მოეწყობა მრგვალი მაგიდა თემაზე „ფრანგული ენის სწავლება საქართველოში“. მასში მონაწილეობას მიიღებენ კახეთის რეგიონის ფრანგული ენის პედაგოგები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და ამჟამად საქართველოში მყოფი ფრანგი პედაგოგები და სტაჟიორები. საჩხერის რაიონის ფრანგულენოვანი სკოლების მოსწავლეები კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად წარმოადგენენ მუსიკალურ-პოეტურ სპექტაკლს ფრანგულ ენაზე. ფრანგული ლიტერატურის პროფესორი ჟაკ გოდიე წაიკითხავს ლექციას „ჟან ეშენოზი, ფრანგი მწერალი“. ფრანგი მწერლის, ირენ ნემიროვსკის ნაწარმოებებს კი საზოგადოებას გააცნობს ვენსან ლერუა, ფრანგული ლიტერატურის პროფესორი. თსუ-ში პოეტური საღამო „ბლეზ სანდრარი არტისტულ გარემოში“ გაიმართება.

1 აპრილს ბათუმში მოეწყობა ფრანგულენოვანი კონკურსი „იცით თუ არა რომ?“. მისი ორგანიზატორები არიან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის პროფესორები. კავკასიის ფრანგულ სკოლაში ჩატარდება პედაგოგიური სემინარები კახეთის რეგიონის და თბილისის სკოლების ფრანგული ენის მასწავლებელთათვის. კინოთეატრ „ამირანში“ კინო — კონცერტი ფრიდრიხ მურნაუს ფილმის „მზის ამოსვლა“ ჩვენება ოლივიე მელანოს აკომპანემენტით გაიმართება. 4 აპრილს კი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ალბერ კამიუ პირველი ადამიანი ჟან-პოლ შინტუს მონაწილეობით, ფრანგულ ენაზე, ქართული სუბტიტრებით.

5 და 6 აპრილს ფრანკოფონიის დღესასწაული ზუგდიდში გადაინაცვლებს. ერთთვიანი ღონისძიებები 8 აპრილს დასრულდება. რუსთაველის თეატრში კაროლინ კარლსონის თანამედროვე ცეკვის სპექტაკლები გაიმართება.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. სამხედრო შენაერთის მღვდელი; 3. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. ჯუზე ვერდის ოპერა; 7. აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული საფრანგეთში; 9. დაკონსერვებული პროდუქტებით გამოწვეული მძიმე მოწამვლა; 13. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი მსუბუქი სპორტული ნავი; 15. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 16. მდინარე პრაღაში; 18. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი.

**თარაზულად:** 4. ტბა სამხრეთ საქართველოში; 6. ორქმრიანობა; 8. სამოქალაქო სამართალი; 10. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 11. იტალიელი კომიკოსი; 12. გერმანული ჟურნალი; 14. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 17. მიქელანჯელოს ქანდაკება; 19. მძვინვარე, გაავებული მამაკაცი; 20. გვერდითი მსაჯი ფეხბურთში; 21. მოტოციკლეტების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 22. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 23. სოფლის შარაგზა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კანარგო; 2. ანისი; 3. მალთაყვა; 4. ჯინჯილა; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ხერსონი; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. სარკე; 18. ყრმა.

**თარაზულად:** 6. ბაჩანა; 7. გაბრიაძე; 8. ზაჰესი; 10. ციცქა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. ბეტისი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ავტოჟირი; 3. ოკარინა; 5. საქსონია; 7. ცინიზმი; 9. ტელეპათია; 13. შაშკინი; 15. ჭელიძე; 16. ტოიოტა; 18. აჯიკა.

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აკვედუკი; 8. მელიქიშვილი; 10. ბაიკერი; 11. ლენი; 12. ბრუნეი; 14. აჭარა; 17. ქააბა; 19. პლაცი; 20. პოლონეთი; 21. აუდი; 22. ტერმინალი; 23. წალკოტი.

# პაკისტანში ერთადერთი ქრისტიანი მინისტრი მოკლეს



პაკისტანში ქვეყნის ეროვნული უმცირესობების საკითხების მინისტრი შაჰბაზ ბჰატი, სამსახურისაკენ მიმავალი, გზაში მოკლეს.

უცნობმა პირება ისლამაბადში ცეცხლი გაუხსნეს ავტომობილს, რომელშიც მინისტრი იმყოფებოდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

შაჰბაზ ბჰატი პაკისტანის მმართველი, სახალხო პარტიის წევრი იყო. იგი თავდასხმის შედეგად მიღებული ჭრილობებისაგან საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციელების ვარაუდით, მას არანაკლებ სამი პირი დაესხა თავს. ექიმების თქმით, ბჰატის რამდენიმე ტყვია მოხვდა.

მიმდინარე წლის იანვარში ბჰატიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისლამისტი მეამბოხეები მას ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ, მაგრამ არ შეეპუებოდა მათ და ბრძოლას გააგრძელებდა.

იგი მკრეხელობის შესახებ პაკისტანში არსებული კანონის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამოდიოდა.

პაკისტანში ამ კანონის ოპონენტებს პირველად არ ესხმიან თავს. მიმდინარე წლის იანვარში პაკისტანის პენჯაბის პროვინციის გუბერნატორს სალმან ტასირს მისივე ერთ-ერთი პირადი მცველი დაესხა თავს და მოკლა. ტასირი ასევე მკრეხელობის კანონის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამოდიოდა.

მისი მკვლელობის შემდეგ პაკისტანის ზოგიერთი რელიგიური ლიდერი პოლიტიკოსის მკვლელის ქება-დიდებით გამოვიდა და ტასირის დაკრძალვის ცერემონიალის ბოიკოტისაკენ მოუწოდა.

გასულ წელს სააღდგომოდ მომზადებულ მიმართვაში რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მ პაკისტანელი ქრისტიანები საგანგებოდ მოიხსენია და განახადა, რომ ისინი ხშირად სარწმუნოების გამო დევნის ობიექტი ხდებიან.

რომის პაპმა პაკისტანის ხელისუფლებს მკრეხელობის კანონის უარყოფისაკენ მოუწოდა, რადგან, მისი თქმით, ამ კანონს ხშირად რელიგიური უმცირესობების დაშინების მიზნით იყენებდნენ.

პაკისტანის ამ კანონის თანახმად, ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც ისლამური ფასეულობების შეურაცხყოფაში სცნობენ დამნაშავეს, სიკვდილი ელის.

მკრეხელობის ბრალდებები სასამართლოებს ხშირად გამოაქვთ, თუმცა, ჯერჯეროით სასიკვდილო განაჩენი სისრულეში ერთხელაც არ მოუყვანიათ. კანონის ოპონენტების თქმით, ძალიან ხშირად შეწყალებულ დამნაშავეებსაც კი ხშირად დანაშაულის შემსუბუქებით უკმაყოფილო ისლამისტები ესხმიან თავს.

ზომიერი პოლიტიკოსები და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტები ამტკიცებენ, რომ კანონის ბუნდოვან ფორმულირებას რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ და პირადი ანგარიშსწორების მიზნით იყენებენ.

პაკისტანში ქრისტიანები ქვეყნის 170 მილიონიანი მოსახლეობის 2%-ს შეადგენენ.

პაკისტანის ერთ-ერთ ციხეში სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელოდება ქრისტიანი ქალი ასია ბიბი, რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედის მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადების ბრალდებით გაასამართლეს.

მის წინააღმდეგ ერთადერთ არგუმენტად გამოიყენეს მისი მეზობელი მუსლიმანი ქალების სიტყვები, ვისთანაც ერთად ასია მინდორში მუშაობდა. მუსლიმანი ქალების თქმით, მათ გაიგონეს, რომ ქრისტიანი ქალი მკრეხელურ სიტყვებს ამბობდა.

# კადაფის ჯარები აღმოსავლეთისაკენ მიიწევენ



**ლიბიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, მოამარ კადაფის ერთგული სამხედროები მეამბოხეებისათვის ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ბრეგას წართმევას ცდილობენ.**

**სხვადასხვა ცნობების თანახმად, სამხედროებმა ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი საზღვაო პორტი, სადაც მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი საწარმო და გაზის გასათხევადებელი ქარხანა მდებარეობს.**

ბრეგას დამცველი მეამბოხეები თავის მხრივ ამტიკცებენ, რომ მათ კადაფის ერთგული ძალების მოგერიება შეძლეს.

ლიბიის ლიდერი მოამარ კადაფი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ემორჩილება, გადადგომას არ აპირებს. იგი აცხადებს, რომ ლიბიელებს უყვართ იგი, მზად არიან, მისი გულისთვის თავი გაწირონ, ხოლო ისინი, ვინც მის წინააღმდეგ გამოდის, „ალ კაიდას" მიერ ჰალუცინოგენებით არის გაბრუებული.

ორკვირიანი არეულობის შედეგად კადაფიმ ქვეყნის რამდენიმე მნიშვნელოვანი რაიონი დაკარგა.

დედაქალაქ ტრიპოლიში, რომელსც კვლავინდებურად კადაფის ერთგული ძალები აკონტროლებენ, რამდენიმე მძლავრი აფეთქება მოხდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, დაუდგენელი მიზეზების გამო საწვავის გადასატანი რამდენიმე ავტოცისტერნა აფეთქდა.

სამშაბათს გაეროს წევრმა ქვეყნებმა ადამიანის უფლებათა საბჭოში ლიბიის წევრობის შეჩერებას დაუჭირეს მხარი. ამ საკითხთან დაკავშირებით გავრცელებულ რეზოლუციაში კადაფის რეჟიმს ადამიანის უფლებათა მასშტაბური და სისტემური დარღვევების ბრალდებები წაუყენეს.

გარდა ამისა, გაერო ლიბიისა და ტუნისის საზღვართან თავმოყრილი ადამიანების ევაკუაციის განცხადებით გამოვიდა.

ლიბიაში არეულობები 19 თებერვალს დაიწყო და მას შემდეგ ტუნისს 75 ათასამდე ადამიანმა შეაფარა თავი. მათი უმეტესობა ლიბიის დასავლეთით მომუშავე ეგვიპტელები იყვნენ.

დაახლოებით 70 ათასმა ადამიანმა ლიბია ეგვიპტის საზღვრის გავლით დატოვა.

ტუნისის საზღვარზე საკონტრლო გამშვებ პუნქთან 40 ათასამდე ადამიანია თავმოყრილი. ვითარება იმდენად არის დაძაბული, რომ ტუნისელი მესაზღვრეები იძულებული შეიქნენ ადამიანები ჰაერში სროლით გაეფანტათ.

ლიბიაში სამხედრო მოქმედების ფონზე ვრცელდება ინფორმაცია ლიბიის ნაპირებისაკენ აშშ-ის ორი სამხედრო ხომალდის გადადგილების შესახებ, რომლებსაც 400-მდე საზღვაო ქვეითი გადაჰყავთ. ამ ხომალდებმა წითელი ზღვის მხრიდან სუეცის არხი გადაკვეთეს.

იმავდროულად, აშშ-ის სამხედრო უწყებას მიაჩნია, რომ ლიბიის სამოქალაქო ომშიჩარევა ნაკლებად სავარაუდოა. პენტაგონის შეფის, რობერტ გეითსის თქმით, ეს ხომალდები სასწრაფო ევაკუაციისათვის, ან ჰუმანიტარული დახმარების გაწევისათვის იქნება საჭირო.

გეითსმა ასევე განაცხადა, რომ ლიბიაში ძალადობისა და საერთო არასტაბილურობის ფონზე აშშ პრეზიდენტ ობამას მოქმედების სხვადასხვა ვარიანტების განხილვას აპირებს. მინისტრმა არ გამორიცხა ფრენისათვის აკრძალული ზონების შექმნა, რათა მოამარ კადაფს ოპოზიციის ძალებზე ჰაერიდან თავდასხმის შესაძლებლობა წაართვან.

ვაშინგტონი ამასთან აღიარებს, რომ ლიბიის მოვლენებში ჩარევა, ნებისმიერ დონეზე, ურთულესი ოპერაცია იქნება, რადგან მას ჯერჯერობით საერთაშორისო მხარდაჭერა არ მოუპოვებია.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სამშაბათს კადაფის გადადგომის კიდევ ერთი მოწოდებით მიმართა და აღნიშნა, რომ ლიბიის წინაშე მშვიდობიან დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევის ან ხანგრძლივ სამოქალაქო ომში ჩათრევის არჩევანი დგას.

იმავდროულად, პაკისტანის გაზეთებმა განაცხადეს, რომ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და აშშ-ის სპეციალური ქვეგანაყოფები უკვე ლიბიის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფებიან, იქ, სადაც ვითარებას ოპოზიციური ძალები აკონტროლებენ.

გაზეთ „პაკისტან ობზერვერის" ინფრმაცით, 23-24 თებერვალს აშშ-ისა და საფრანგეთის ძალები სწრაფმავალი ნავებით ბენგაზისა და ქალაქ ტობრუკის რაიონში გადასხდნენ. მათი პირადი შემადგენლობის რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. ამ ქვეგანაყოფების მიზანია ლიბიის ოპოზიციის შეიარაღებული ძალების დახმარება და პირადი შემადგენლობის გაწვრთნა.

გაზეთის თანახმად, ლიბიის აღმოსავლეთით იქმნება საწვრთნელი ბანაკები, სადაც დასავლეთის ინსტრუქტორები მუშაობენ. გარდა ამისა, სპეცრაზმების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს აუცილებლობის შემთხვევაში ლიბიის საჰაერო თავდაცვითი სისტემის წყობრიდან გამოყვანა, გარდა ამისა, „ალ კაიდას" სტრუქტურების წინააღმდეგ მოქმედება, თუკი ეს უკანასკნელი ლიბიაში გააქტიურებას დააპირებს.

თავის მხრივ, ბრიტანულმა „დეილი ტელეგრაფმა" განაცხადა, რომ ბრიტანეთის სპეცრაზმი აუცილებლობის შემთხვევაში ლიბიის ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის საწყობების დაკავებისათვის არის მზად.

გაზეთის მონაცემებით „ესეიეს"-ის ელიტური რაზმები 10 ტონა მდოგვის გაზის (იგივე იპრიტის) ხელში ჩაგდებას შეეცადა. ეს ქიმიური იარაღი ლიბიის სამ სამხედრო ობიექტზეა დაცული.

ბრიტანული წყაროების თანახმად, აშშ-ის მხრიდან რაიმე ოპერაციებში „ესეიეს"-ის მონაწილეობის თხვნა მათ არ მიუღიათ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მსგავსი გეგმები მუშავდება.

იმავდროულად, აშშ-ის ხელისუფლები ლიბიის ფინანსური აქტივების გაყინვის რეალიზებას შეუდგა. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცით, პრეზიდენტ ობამას მიერ ბლოკირებული სახსრების ოდენობა მიმდინარე მომენტისათვის 30 მილიონ დოლარს აღწევს.

ლაპარაკია ლიბიის მთავრობის, ცენტრალური ბანკის, გარდა მაისა, ლიბიის ხელისუფლების საინვესტიციო ქვეგანყოფილებების სარებზე. რაც შეეხება გაყინულ თანხებში უშუალოდ ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის საკუთრების წილს, აშშ-ის ხაზინამ ამ საკითხის კომენტარისაგან თავი შეიკავა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



### 4 მარტი გიორგი (გია) პაპავას დაბადების დღეა

ჩემო მონატრებულო შვილო, 3 წელია ჩვენ გარეშე ხვდები, ოღონდ სხვა სამყაროში, დაბადების დღეს. 4 მარტს 36 წელი გისრულდება, ნუთუ არ გიკვირს, როგორ გაძლო შენმა გამწარებულმა დედამ 2 წელი და 7 თვე შენ გარეშე, მაგრამ ამას გაძლებას ვერ დავარქმევდი, უფრო დედის ტანჯვა-წამება ჰქვია. დედიკო, მეტის გაძლება, მოთმენა არ შემიძლია, შენთან მინდა სამუდამოდ ყოფნა. ძნელია, უყურო შენს პატარებს — ელენეს, თეკლას და მეუღლე ეკას შენ გარეშე, რომლისთვისაც ერთადერთი იმედი და სიყვარული იყავი. დედიკო, რომ იცოდე, შენს დედას სიბერეში დიდი სიმწარე ანახვე, მაგრამ, სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველდღე ვივლი შენს საფლავზე და გულში ჩავიხუტებ შენს გულზე დაყრილ მიწას. გული მოუკალი შენს საყვარელ დას თამილას, რომელსაც შვილივით ჰყავდი გაზრდილი თქვენი ასაკობრივი სხვაობის გამო. ჩაატოვე გაუბედურებული დედა ხელში. დედიკო, ძალიან გეხვეწები, იქნებ მალე წამიყვანო და სამუდამოდ ერთად ვიყოთ. ნათელში მიმყოფოს უფალმა შენი სული. დედიკო, წამიყვანე, წამიყვანე მალე, გემუდარები!

*შენი ტანჯული დედა*

---

დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს მარინა და გურამ ლიპარტელიანებს დეიდის

**არჩიკო ყარამანის ასულ გაზდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლამარა ზამბახიძე, შვილები ბესო, ირაკლი, მიხეილ ზამბახიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სულიკო ბესარიონის ძე ზამბახიძე**

პანაშვიდი: 4, 5, მარტს;
დაკრძალვა: 6 მარტს, 14 საათზე;
მისამართი: ნუცუბიძის 179, II კორპუსი, I სადარბაზო, VII სართული.

---

### მალხაზ კუციას გახსენება



ჩქარა გავიდა ცრემლით, ტკივილითა და მონატრებით აღსავსე ერთი წელი. მოულოდნელად წახვედი ქვეყნიდან ისე, რომ არავინ შეგიწუხებია.

უშენოდ ყოფნა უდიდესი ტკივილია შენი ოჯახისათვის. ხარკოვის ეკონომიკური ინსტიტუტისა და მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაიცავი სამეცნიერო ხარისხი და შენი ცხოვრება შეალიე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სტუდენტთა აღზრდის საქმეს, სარგებლობდი კარგი ავტორიტეტით. იყავი კეთილი ახლობლებისა და მეგობართა მიმართ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ამაყი და სპეტაკი სული!

*მშობლები ვისიკო და ჯუმბერ კუციები, მეუღლე თინა, შვილი ჯუმბერი, რძალი თეონა, შვილიშვილი მარიამი*

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 4 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 03.20** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. "**ფარი**" (**12**) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი "**ბრალდებული**" (**18**) **03.20** მხ. ფ. "**კარანდირუ**" (**18**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**ზედმეტი ბარგი**" **01.00** მხ. ფ. "**თავისუფლების მწევრვალები**" (**12**)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კონცერტი **01.00** მხ. ფ. "**დაბრუნებულია**" (**18**) (ლ. ბლერი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**ორნახევარი კაცი**" **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ."**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ. ფ."**კერკეტი კაკალი 3**" (ბ. უილისი) (სუბტ.) **02.40** მხ. ფილმი "**პელიკანების საქმე**" (**12**) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (**12**) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.)

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ."**დაცვის უფლება**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ."**გაზაფხული**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**ლომი ზამთარში**" **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** მუს. ფილმი "წელიწადის დრონი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. "**მე ვხედავ მზეს**" **13.20** კონცერტი – კარაიანი **15.05** მხ.ფ."**ხევისბერი გოჩა**" **16.35** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**არასერიოზული კაცი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 4 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7291
ევრო —2,3924
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8207
რუსული რუბლი — 0,0604

**ამინდის პროგნოზი 4 მარტისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-8, ღამით — -4-9
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-11, ღამით — 9-4
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-§, ღამით — -15 -2







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

,,სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## ფედერაციამ გოგია მიიწვია. პასუხი ჯერ არ ჩანს

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა, ოთარ გაბელიამ, რომელიც უკვე ემზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის, 36-კაციანი გაფართოებული სია დაასახელა. გაბელია მზადებას 23-29 მარტს ავსტრიაში გასამართი ოთხთა ტურნირით იწყებს. ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში, საქართველოს გარდა, ისრაელის, რუმინეთისა და ალბანეთის 21-წლამდელთა ნაკრებები ითამაშებენ.

მოულოდნელად სიაში აღმოჩნდა გერმანული „ვოლფსბურგის" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი აკაკი გოგია. ამ ფეხბურთელზე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი და გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელადაც ითვლება. ერთია, უკვე ნათამაშევი აქვს გერმანიის ასაკობრივ ნაკრებში და პრესაშიც ხშირად ისმოდა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურდა. ასეა თუ ისე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გოგიას მოწვევა გაუგზავნა და, ჩამოვა თუ არა, ეს სხვა საკითხია. ჯერჯერობით მისგან პასუხი არ ისმის.



გაფართოებული სია კი ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა, გიორგი ნადირაძე (ორივე დინამო თ.);

**მინდვრის მოთამაშეები:** ბაქარ მირცხულავა (ბენფიკა, პორტუგალია), თორნიკე კაკუშაძე (მერანი მ.), გიორგი კაჭკაჭიშვილი (დინამო ბ.), თემურ შარაშენიძე (დიორი, უნგრეთი), ირაკლი კვეკვესკირი (პეჩ, უნგრეთი), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), აკაკი გოგია (ვოლფსბურგი, გერმანია), გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან კაკუბავა, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთუმანიძე (ყველა დინამო თ.), მამუკა კობახიძე, საბა ლომია, ნიკა ჩიხლაძე (ყველა ზესტაფონი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), გიორგი ოთარაშვილი, ბესიკ დეკანოიძე (ორივე სპარტაკი ცხინვალი), დავით ხოჭოლავა, ვაკო ყაზაიშვილი (ორივე საბურთალო), ნიკა საბანაძე, ლუკა გუგუჩია, თორნიკე თარხნიშვილი (ყველა ტორპედო), საბა კვირკველია, ავთანდილ ბრაჭული (ორივე რუბინი, რუსეთი), გიორგი ილურიძე (ანჟი, რუსეთი), ივანე კანდელაკი (ალანია, რუსეთი), ირაკლი ქობალია, ნიკა აფაქიძე, ილია გამრეკლიძე, ზვიად სიხარულია (ყველა ბაია), დავით კაკულია (ოლიმპია, მოლდოვა), ირაკლი ხუციძე (გაგრა), ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი).

**მ. ჟ.**

## იუმორი



— ვერ გავიგე, რატომ ხარ უკმაყოფილო შენი ქმრით. აკი ხელფასი უკლებლივ ჩემთან მოაქვსო.
— ჰო, მაგრამ შემდეგ იმ ფულს ბანქოში მიგებს...

* * *

— არავინ თუ არ გეწევა, გამოდის, ყველაზე ბოლოს მიჩანჩალებ...

* * *

— რა თქმა უნდა, გილიოტინა ქერტლის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ერთი საკმაოდ უსიამოვნო გვერდითი ეფექტი ახასიათებს...

* * *

— იცით, რით განსხვავდება ნამდვილი მამაკაცი ჩვეულებრივისაგან? ჩვეულებრივი მამაკაცებისაგან ქალებს თავი სტკივათ, ნამდვილი მამაკაცებისაგან თავბრუ ეხვევათ...

* * *

სამი გამყიდველი ტრაბახობს:
— მე ერთ ყრუს სტერეოსისტემა მივყიდე.
— მე კი უხელო ხეიბარს ჩოგბურთის ჩოგანი მივყიდე.
— მე კი ერთ პოლიციელს გუგულიანი საათი მივყიდე.
— მერე, რა არის აქ განსაკუთრებული და უჩვეულო?
— გუგულისათვის ერთი ტომარა ფეტვიც მივასალე...


# მალე! მალე! მალე!

**100 წიგნი**

## „ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

## გთავაზობთ

# სუპერპროექტს

# ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო


## ტესტი

## გიყვართ თუ არა მარტოობა

*ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ დიახ (1); არ ვიცი (2); არა (3).*



1. ხანდახან ვოცნებობ, რომ რამდენიმე დღე არავინ დავინახო და ადამიანებისაგან დავისვენო;
2. ვგრძნობ, რომ არასდროს მყოფნის დრო;
3. მსურს ტყეში მარტო სიარული;
4. ხშირად სხვა ადამიანების გვერდით თავს მარტოსულად ვგრძნობ;
5. ბავშვობიდანვე მიტაცებდა მარტო თამაში;
6. მარტოობას არასდროს განვიცდიდი;
7. ჩემი განწყობილების ფერი უფრო ღია და მხიარულია, ვიდრე მელანქოლიური და მუქი;
8. მიყვარს წიგნების კითხვა;
9. როდესაც პრობლემა მაქვს, ყოველთვის ვეძებ იმ ადამიანს, ვისთანაც მისი გაზიარება შეიძლება;
10. ბავშვობაში მშობლები ხშირად მტოვებდნენ მარტო.

### პასუხები

**10-17 ქულა:** მარტო თავს მოწყენილად არასდროს გრძნობთ. ყოველთვის შეგიძლიათ თქვენთვის საქმის ან გასართობის მოძებნა. მარტოობა თქვენზე დამთრგუნველად არ მოქმედებს.

**18-23 ქულა:** თქვენთვის ცნობილია რა არის მარტოობა, როგორც მწარე, ასევე ისეთი, რომლითაც ტკბობა შეიძლება. შეგიძლიათ საკუთარი თავის მართვა მაშინ, როდესაც გარშემო არავინაა. ამ მარტოობისას ხშირად გიჩნდებათ ილუზია, თითქოს თქვენ გვერდით ვიღაცა დგას.

**24-30 ქულა:** მარტო თავს ძალიან ცუდად გრძნობ. შეჩვეული ხარ ხალხმრავალ ატმოსფეროს. არ შეგიძლიათ თუნდაც უმნიშვნელო სიახლის ან ჭორის დიდხანს შენახვა და სხვებისთვის გაზიარების დაუძლეველ სურვილს გრძნობთ. ადამიანებთან ურთიერთობა თქვენთვის ყველაფერია. თქვენ საზოგადოების აქტიური წევრი ბრძანდებით.

**გ.თ.**

## ასტროპროგნოზი 4 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 2. ბალჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში გავრცელებული დიდი ზომის ფრინველი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 12. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 14. ისრაელის პრეზიდენტი; 15. შაქრის ლერწმისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი; 17. ჰოლივუდის ზანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 18. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი.

**თარაზულად:** 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 8. პატარა სასეირნო გემი; 10. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 19. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 20. მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

